

ა(ა)იპ საქართველოს აბორული უნივერსიტეტი

ვლადიმერ ბარათაშვილი

ენტერობაქტერიების როლი ხბოების მფვავე
დიარეის ეტიოლოგიაში

აგრარულ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

დარგი - ვეტერინარია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი, საქართველოს
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
თენგიზ ყურაშვილი

შ 0 6 ა ა რ ს 0

| | |
|---|-----------|
| 1. ნაშრომის ზოგადი დახასიათება | 4 |
| თემის აქტუალობა | 4 |
| გამოკვლევის მიზანი და ამოცანები | 5 |
| ნაშრომის მეცნიერული სიახლე | 5 |
| ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა | 6 |
| კვლევის შედეგების აპრობაცია | 6 |
| კვლევის შედეგების პუბლიკაცია | 7 |
| დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა | 7 |
| 2. ლიტერატურის მიმოხილვა | 8 |
| 2.1. ენტერობაქტერიების კლასიფიკაცია და მათი დახასიათება | 8 |
| 2.2. ეშერიხიო (კოლიბაქტერიოზი) | 12 |
| 2.3. პათოგენური და ტოქსიკური თვისებები | 14 |
| 2.4. ეშერიხიოს გავრცელება | 18 |
| 2.5. ეშერიხიოს კლინიკური სურათი | 23 |
| 2.6. პათოლოგოანატომიური ცვლილებები ეშერიხიოს დროს | 25 |
| 2.7. ეშერიხიოს მკურნალობა | 28 |
| 3. საკუთარი გამოკვლევები | 32 |
| 3.1. კვლევის მასალები და მეთოდები | 32 |
| 3.2. ეპიზოოტოლოგიური გამოკვლევა | 36 |
| 3.3. ეშერიხიოს კლინიკური სურათის შესწავლა ხელოვნური სტატისტიკური მეთოდები | 43 |
| 3.4. პათოლოგოანატომიური ცვლილებების შესწავლა ხელოვნური სტატისტიკური მეთოდების დროს | 47 |
| 3.5. მსხვილი რქიანი პირუტყვის ფერმის დაკომპლექტების პირველ ეტაპზე მიკრობული კონტამინაცია | 52 |
| 3.6. ფერმის დაკომპლექტებიდან 6–7 თვის შემდეგ ცხოველთა სადგომების მიკრობული კონტამინაცია | 57 |
| 3.7. ენტერობაქტერიების (ეშერიხიოზი, სალმონელოზი) დიაგნოსტიკური კრიტერიუმები | 77 |
| 3.8. ენტერობაქტერიების ანტიბაქტერიული პრეპარატების მიმართ მგრძნობელობა და ეშერიხიოზის მკურნალობა | 80 |
| 3.9. მიღებული შედეგების განხილვა | 92 |

| | |
|------------------------------|-----|
| 4. დასკვნები | 102 |
| 5. პრაქტიკული რეკომენდაციები | 104 |
| 6. გამოყენებული ლიტერატურა | 105 |

1. ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ადამიანის მეცნიერების პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის მეტად აქტუალურია სულადობის აღწარმოება. ყოველივე ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მოზარდის შენარჩუნებას. რიგი საკითხები, რაც დაკავშირებულია მოზარდის შენარჩუნებასთან, გადაუჭრელია, ეს კი მოითხოვს მუდმივ დახვეწას და პრაქტიკულად განხორციელებას. მოზარდის მიღება შენარჩუნება დიდადაა დამოკიდებული მეცნიერების ფერმებში მოვლა-შენახვის, ტექნოლოგიური პროცესების და ვეტერინარიულ-სანიტარიული ნორმების სრულყოფილად გატარებაზე.

მსხვილ მეცნიერების თუ მეფრინველების მეურნეობებში, სადაც მცირე ფართობზე თავმოყრილია ცხოველთა დიდი რაოდენობა, თავს იჩენს დიარეის კლინიკით მრავალი დაავადება, რომელთა დიფერენცირება ძალზე რთულია. აღსანიშნავია, რომ ამ დაავადებათა კლინიკური გამოვლინება იდენტურია, რაც არაეფექტურს ხდის სამკურნალო და პროფილაქტიკურ დონისძიებებს. პრობლემურია ის, რომ ცხოველთა შენახვის ასეთ ფონზე ხდება არაპათოგენური ან პირობით პათოგენური მიკროორგანიზმების ბუნებრივი პასაჟირება ცოცხალ ორგანიზმებში, ხდებიან პათოგენურები, ვირულენტურები და იწვევენ მოზარდეულის მასიურად დაავადება-სიკვდილიანობას. მუდმივად პრობლემურია რეზისტენტული ენტერობაქტერიების საწინააღმდეგო საშუალებების და დონისძიებების გამონახვა. ენტეროპათოგენური ბაქტერიები მუდმივ საშიშროებას უქმნის ადამიანებს, რომლებიც იწვევენ ტოქსიკონფექციებს და ტოქსიკოზებს. ბოლო პერიოდში თავი იჩინა (გერმანია) ეშერისიების ახალი შტამებით ცხოველური პროდუქტების კონტამინაციით ადამიანების დაავადება-სიკვდილიანობამ.

კვლევის მიზანი და ამოცანები. როგორც ლიტერატურის მონაცემებითაა ცნობილი ახალი მეურნეობების დაკომპლექტებისას მოზარდის შენარჩუნება ძნელი იყო კუჭ-ნაწლავის აშლილობის კლინიკით (დიარეა) მიმდინარე დაავადებათა გამო.

დაკომპლექტების პირველ ეტაპზე არ იყო პრობლემები, თუმცა მასიური დახმოიანობისას ადგილი ჰქონდა ცხოველთა მასიურ დაავადებას და სიკვდილიანობას.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო თელეთის საჯიშე-სანაშენო მეურნეობის მაგალითზე შეგვესწავლა ენტერობაქტერიების პათოგენობის ზრდის დინამიკა დაკომპლექტებიდან სხვადასხვა პერიოდში; შეგვესწავლა ენტერობაქტერიების და მათი ასოციაციის როლი დაავადების ეტიოლოგიაში, შეგვემუშავებინა ოპტიმალური პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალებები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. დადგენილი იქნა, რომ მეცხოველეობის მსხვილი ფერმის დაკომპლექტების პირველ ეტაპზე (2–3–4 თვე) ხბოს მიღება შენარჩუნება იყო ნორმალური, შემდგომში თავი იჩინა მასიურმა დაავადება-სიკვდილიანობამ. დადგინდა ეშერიხიების რეზისტენტული შტამების წარმოქმნის ვადების დინამიკა, რასაც ერთ-ერთი მნიშვნელობა აქვს დაავადების ეტიოლოგიაში. შესწავლილი იქნა ჯანმრთელი, ავადმყოფი, მკვდარი ხბოებიდან და ფურებიდან გამოყოფილი ენტერობაქტერიების კულტურალურ-მორფოლოგიური, ბიოქიმიური, პათოგენური თვისებები; ანტიბაქტერიული პრეპარატების მიმართ მგრძნობიარე (S) და რეზისტენტული (R) შტამების მგრძნობელობა, რაც დადებითად აისახა ხბოების პროფილაქტიკა-მკურნალობაში.

კვლევის შედეგად ეფექტური აღმოჩნდა გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიერ შექმნილი პოლივალენტური კოლიფაგი.

გამარტივებული იქნა ეშერისიოზის დიაგნოსტიკის ვადები; შესაძლებელია ენტერობაქტერიების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა 2–3 დღეში, ნაცვლად არსებული 7–8 დღისა, რაც დააჩქარებს საწინააღმდეგო ლონისძიებების დროულ გატარებას. შემუშავებულია ენტერობაქტერიოზების ასაცილებელი და სალიკვიდაციო ლონისძიებათა კომპლექსური სისტემა, რომლის დანერგვა წარმოებაში საგრძნობლად გააუმჯობესებს მოზარდეულის შენარჩუნებას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. ახალი მეურნეობის დაკომპლექტებისას გასათვალისწინებელია ის, რომ ფერმა უნდა შეიქმნას რაც შეიძლება ახალგაზრდა სულადობით ერთი მეურნეობიდან, რაც შემდგომში განაპირობებს კოლოსტორალური იმუნიტეტის მაღალეფებურობას; პერიოდულად წელიწადში 2–3-ჯერ დადგინდეს მეცხოველეობის შენობებში ენტერობაქტერიებით კონტამინაციის პათოგენობის და ანტიბაქტერიული პრეპარატების მიმართ მგრძნობელობა. გაფართოვდეს პოლივალენტური კოლიფაგის წარმოება და მეურნეობაში მისი დანერგვა.

კვლევის შედეგების აპრობაცია. ნაშრომის ძირითადი დებულებები მოხსენიებულია:

1. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – „პირველი ვეტერინარული კლინიკა“ (ქ. თბილისი 2008).
2. საერთაშორისო ინტერნეტკონფერენცია (ქ. ქუთაისი 2011)

კვლევის შედეგების პუბლიკაცია. დისერტაცის გამოქვეყნებული აქვს 13 სამეცნიერო შრომა. მათ შორის დისერტაციის ირგვლივ 5 დამოუკიდებელი ნაშრომი.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა. დისერტაციის ტექსტი მოიცავს 116 კომპიუტერულ ნაბეჭდ გვერდს და შედეგება ნაშრომის ზოგადი დახასიათების, ლიტერატურის მიმოხილვის, კვლევის მასალებისა და მეთოდიკის, საკუთარი გამოკვლევის შედეგების და მისი ანალიზის, დასკვნების, პრაქტიკული რეკომენდაციების და გამოყენებული ლიტერატურის (128 წყარო) სიისაგან.

ნაშრომი ილუსტრირებულია 8 ფოტოსურათით, 15 ცხრილით და 2 გრაფიკით.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. ენტერობაქტერიების კლასიფიკაცია და მათი დახასიათება

ნაწლავის ჩხირი პირველად აღწერილი იქნა 1885 წ. ეშერიხის მიერ და ეწოდა *Bacterium coli communae*, ვინაიდან მუდმივად ფიქსირდებოდა სხვადასხვა ასაკის ადამიანთა ნაწლავების შიგთავსში.

Г.И. Габричевский (1894) შეისწავლა რა „*Bact. coli communae* და მისი როლი ადამიანის პათოლოგიაში“, ამბობდა „*Bact. coli communae* გარკვეულ როლს თამაშობს ადამიანის პათოლოგიაში. ყოველივე ეს აიძულებს ბიოლოგებს ბაქტერიოლოგებს და კლინიცისტებს შეჩერდნენ დიდი ყურადღებით “*Bact. coli communae* -ს შესწავლაზე“.

ყოველივე ამის გამო თანამედროვე ეტაპზე ნაწლავის ჩხირის შესწავლას ექცევა დიდი ყურადღება. ბავშვების და მოზარდი ცხოველების დაავადებათა ეტიოპათოგენეზში მას ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას. გარდა ამისა, დადგენილია ამ ბაქტერიის განსაკუთრებული როლი ქირურგიულ, უროლოგიურ, გინეკოლოგიურ, ჩირქოვან და სხვა დაავადებებში.

F. Kauffmann (1943) მიუთითებს, რომ ნაწლავის ჩხირი ითვლება ნაწლავური მიკროფლორის წარმომადგენლად, რომლებშიც შედიან კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ერთმანეთის მსგავსი ბაქტერიები (მიმოფანტულნი არიან ადამიანის, ცხოველების, ფრინველების, მწერების კუჭ-ნაწლავში).

И.А. Михин-ის, И.Н. Леонов-ის (1943), И.И. Розанов-ის (1952) მონაცემებით, ადამიანის, ცხოველის ორგანიზმიდან გამოყოფილი *E. coli* არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

М.Б. Брюсова თანაავტორობით (2008) აღწერს, რომ ენტეროპათოგენური ეშერიხიების ძირითადი რეზერვუარია მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, ნაკლებად ცხენები, ირმები და

ფრინველი. ინფექციის აფეთქება ხდება, როცა ეშერიხიებით კონტამინირებული პროდუქტები ხვდება ადამიანის ორგანიზმში. ინფექციის პროცესის განვითარებისათვის საჭიროა სულ რაღაც 100 ბაქტერია. ამ დროს ადამიანების სიკვდილიანობა 3–5%-მდეა. C.C. Яковлев-ი თანაავტორებთან (2008) და 3.A. Алексеров (2008) ასკვნიან, რომ ადამიანისათვის სალმონელების მაინფიცირებული დოზა შეადგენს 10 და მეტ მიკრობს.

Я.Е. Коляков-ი თანაავტორებთან ერთად (1970) აღნიშნავს, რომ ნაწლავის ჩხირი ანტიბიოტიკების მოქმედებამ შეიძლება წარმოშვას ძაფისებური ფორმები. O.A. Полкова-ს (1973) აღწერილი აქვს ნაწლავის ჩხირის კაფსულიანი ფორმა. A.K. Сытдиков-ის (1972) მონაცემებით, ქსოვილისაგან და ექსუდატებისაგან მომზადებულ პრეპარატებში გრამის წესით შეღებვისას ხშირად ნახულობენ ნაწლავის ჩხირის ბიპოლარულ ფორმებს.

ნაწლავის ჩხირი მიეკუთვნება გარკვეულ ტაქსონომიურ კატეგორიას. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურალურ-ბიოქიმიურ თვისებებს.

1895 წ. Smith-მა ნაწლავის ჩხირის კლასიფიკაციისათვის გამოიყენა შაქრების დაშლა.

F. Kauffman, A. Dupont-მა (1950) დაადგინეს გარკვეული სეროლოგიური ჯგუფებისათვის ბიოქიმიური ტიპი.

O.C. Белая-მ (1961) შენიშნა, რომ პათოგენურ ეშერიხიებს ენდოს არეზე კულტივირებისას ჰქონდათ დაბინდული, ერბომჟავას კონსისტენციის ფერი.

თანახმად G. Ujvary (1958), K.C. Ливанов (1964), W. Made (1967), В.Г. Зароза (1971) მონაცემებისა, ეშერიხიებს შორის არის რამდენიმე ბიოქიმიური ვარიანტი, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს. ანალოგიური დასკვნები აქვთ გაკეთებული Н.И. Зацепина-ს (1958), O.C.

Андреева-ს (1966), А.Н. Крупина-ს (1967), R.Hemsley et al. (1967), Б.С. Киселева და И.В. Голубева-ს (1973) შრომებში და დამატებით აფიქსირებენ იმ აზრს, რომ ბიოქიმიური თვისებები მნიშვნელოვანია ეშერიხიების რომელიმე გვარის, ტიპის, სახეობის მიკუთვნებისათვის და არა პათოგენური და ანტიგენური თვისებების დასადგენად.

1963 წლის საერთაშორისო კლასიფიკაციის თანახმად ნაწლავის ჩხირის ბიოქიმიური აქტიურობის მაჩვენებელია: გლუკოზის, ლაქტოზის, მანიტის, საქართვის, დულციტის, სალიცინის ფერმენტაცია; არაფერმენტულობა – ადენიტის, ინოზიტის მიმართ. არ წარმოშობს გოგირდწყალბადს და ა.შ.

ეშერიხიის მიერ ნაწლავის ჩხირის აღმოჩენის შემდეგ ამ საკითხის შესწავლისას K. Иенсен-ი (1893), Г.И. Габричевский (1894). M. Христиансен-ი (1917) მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ ადამიანის და ცხოველების პათოლოგიაში მნიშვნელობა აქვს ამ მიკრობების მთელ გვარს.

პათოგენური ეშერიხიების ტიპების პირველი დიფერენცირება გააკეთა (ციტირებულია Я.Е. Коляков-ის თანაავტ., 1970) K. Иенсен-მა (1898). მან მთელი ენტერობაქტერიების ჯგუფი დაყო 8 ტიპად მრავალატომიანი სპირტების ფერმენტირების უნარის მიხედვით.

ძირეულად ახალი კლასიფიკაცია მოგვცა Ф. Кауфман-მა (1943, 1947–1950), H. Knipshildt-მა (1945), G. Vahlne-მ (1945). მათ შექმნეს კლასიფიკაციის სქემა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ O, K, H ანტიგენების სტრუქტურით.

Ф. Кауфман-მა (1954) შეიმუშავა ენტერობაქტერიების ახალი სქემა, რომელიც ეყრდნობოდა კულტურალურ-ბიოქიმიური და ანტიგენური შემადგენლობის ღრმა ცოდნას. მაგალითად, ტრიბი Escherichia შედგებოდა: Escherichia, Klebsielle, Cloacoe და Hafnia. გვარში Escherichia შედიოდნენ E. coli, Alcalesens-Dispar-ის ჩათვლით, რომელიც

ადრე სახეობა — *P. shigela* და *E. freundii*-ში შედიოდა. ეს კლასიფიკაცია შეცვალა თვით *Ф. Кауфман-მა* (1959). მან ტრიბ *Escherichia*-ში ჩართო გვარი *Escherichia* და *Shigella*. ეს ცვლილება დაფუძნებული იყო ბაქტერიების მიერ კალიციანიდთან კომპლექსში. გლუტამინის მჟავას დეკარბოქსილირება ბიოქიმიური ტიტრებით და გენეტიკური ასპექტების გამოყენებით, ენტერობაქტერიების დიფერენცირება და კლასიფიკაციაზე მრავალი შრომაა მიმღები, რომელიც უახლოვდება თანამედროვეობას (M. Andreeva — 1970, H. Nicaido — 1970, S. Covan — 1970, K. Iensen, S. Tenkark — 1970).

მიკრობიოლოგების (1962) მონიტორინგის საერთაშორისო კონგრესმა ენტერობაქტერიების გვარი დაყო შემდეგ ჯგუფებად: *Escherichia-Shigella*, *Salmonella-Arizona*, *Citrobacter*, *Klebsiella-Enterobacter-Serratia*, *Proteus-providencia*.

დღესდღეობით ყველაზე მისაღებად ითვლება F. Kauffman-ის (1966) და W. Ewing-ის (1968) მიერ შექმნილი კლასიფიკაცია.

2.2. ეშერინიოზი (კოლიბაქტერიოზი)

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა დაავადებათა შორის ფართო გავრცელება აქვს ეშერინიოზს, სალმონელოზს, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ცხოველთა მაღალი კონცენტრაციისას მცირე ფართობზე.

ახალ შობილი ცხოველების კუჭაშლილობის მწვავე ფორმა პირველად (რომელიც გამოწვეული იყო ნაწლავის ჩხირით) შეისწავლა Lensen C.O.-მა 1892 წელს და უწოდა „თეთრი ფალარათი“, დიზენტერია.

მ. ქრისტიანსენმა (1917) ელენთიდან გამოყო ნაწლავის ჩხირის კულტურები 3–5 დღის ასაკში. მ. კლიმერმა (1930) თეთრი ფალარათი დაახასიათა, როგორც გადამდები დაავადება, რომელიც გამოწვეული იყო ძირითადად *Coli-paratyphus* ჯგუფის ბაქტერიებით.

И.А. Михин (1940, 1943), И.Ф. Квеситадзе (1950) კოლიბაქტერიოზს ახასიათებენ, როგორც „დიზენტერიას“ და მიაკუთვნებენ მწვავე გადამდებ დაავადებას, რომელთაც თან სდევს დიარეა, სეპტიცემია და გამოწვეულია ძირითადად *E.coli*-ით.

В.З. Черняк-ი (1957) იზიარებს ამ ავტორების აზრს და ამბობს, რომ „კოლიბაცილოზი“ გამოვლინდება „გასტროენტერიტის“ ფორმით.

Р.А. Цион-ის (1963) აზრით, „მწვავე სეპტიცემიური კოლიბაცილოზი“ არის მოზარდის სეპტიცემიური დაავადება სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ხსენის პერიოდის დაავადება, რომელიც მიმდინარეობს ენზოოტიის სახით და ხასიათდება მაღალი სიკვდილიანობით.

W.J. Sojka (1970) კოლიბაქტერიოზს უწოდებს „კოლიინფექციას“, რომელიც გამოვლინდება სამკვირამდე ასაკის მოზარდში ენტერიტით, სეპტიცემით, მენინგიტით და ართრიტით.

Я.Е. Коляков, С.С. Гительсон, Л.С. Каврук-ი (1970) ასევე აღნიშნავენ, რომ კოლიბაქტერიოზი მიმდინარეობს მწვავედ 3—5 დღის ასაკში სეპტიცემიური ენტეროტოქსემიური და ენტერიტის ფორმით.

ასეთივე განსაზღვრებას აძლევენ სხვა ავტორებიც: El. Nageh M. (1970), B.S. Marcovic თანაავტორობით (1972), Ph. Hubrig (1965), R. Thomlinson (1974), К.П. Чепуров-ი თანაავტორობით (1973).

J. Srabo-ს (1967) მონაცემებით, ახალშობილ ხბოებში სეპტიცემია უფრო ხშირია კოლიტოქსემიასთან შედარებით და ფიქსირდება 4 დღემდე ასაკში. ასეთივე მონაცემები აქვს E. Salaika-ს (1970).

მაშასადამე, მოცემული მონაცემები ადასტურებენ, რომ კოლიბაქტერიოზის (ეშერისიოზის) განსაზღვრისათვის ერთიანი აზრი არ არის. ერთნი თვლიან, რომ კოლიბაქტერიოზი ითვლება სეპტიცემიურ დაავადებად, მეორენი აღიარებენ სეპტიცემიურ და ენტეროტოქსემიურ ფორმებს, მესამენი უმატებენ ენტერიტულ ფორმას.

ლიტერატურული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კოლიბაქტერიოზის სეპტიცემიურ და ენტეროტოქსემიურ ფორმებზე ავტორთა უმრავლესობის აზრი ერთნაირია, ხოლო ენტერიტულ ფორმებზე არ შეინიშნება ერთიანი მონაცემები.

2.3. პათოგენური და ტოქსიკური თვისებები

ენტერობაქტერიების პათოგენური და ტოქსიკური თვისებების განსაზღვრის პროცესში ყოველთვის აღელვებდა სამედიცინო და ვეტერინარ სპეციალისტებს.

ამ მიზნისათვის, როგორც ბიოლოგიური მეთოდი, იყენებენ სხვადასხვა ლაბორატორიულ ცხოველს: თეთრ თაგვებს, ბოცვრებს, კატებს და ქსოვილოვან კულტურებს. მაგრამ ჯერჯერობით ერთი რომელიმე ბიოლოგიური მოდელი ენტერობაქტერიების პათოგენური და ვირულენტური თვისებების განსაზღვრისათვის არაა.

მრავალი ავტორი პათოგენობის და ვირულენტობის განსაზღვრისათვის იყენებენ თეთრ თაგვებს (Р.Д. Ильинская, 1965; V. Ketyi, S. Väros, 1965; Э.А. Светоч, 1969; Н.С. Хосан, 1970; В.П. Урбан, Н.А. Радчук, 1975; М.А. Сидоров, Н.А. Соколова, 1974; Н.А. Радчук, 1975; Ю.В. Бараташвили, 1976).

ეშერინების პათოგენობის და ვირულენტობის განსაზღვრისათვის А.А. Демина და Е.А. Чагодаева-ს (1959), C. Pomell-ს, R.A. Finkelstein (1966), Ю.В. Бараташвили (1966) მიერ გამოყენებული იქნა 10–დღიანი ქათმის ემბრიონები. მათი მონაცემებით ეს ბიოლოგიური მეთოდი ითვლება მაღალმგრძნობიარედ. 3–25 მიკრობული სხეულის შეფანისას ქათმის ემბრიონში იწვევს საგრძნობ პათოლოგიურ პროცესებს, მაშინ როდესაც თეთრ თაგვებს ამისათვის ესაჭიროება მიღიონობით მიკრობული სხეული.

Gitter M. (1967) ეშერინების პათოგენობის განსაზღვრისათვის გამოიყენა ბოცვრის ნაწლავის იზოლირებული მარყუჟი, სადაც პათოგენური კულტურები იწვევდნენ ანთებით პროცესებს. Sojka M.I. (1970) რეკომენდაციას უწევს წვრილი ნაწლავის იზოლირებული მარყუჟის ტესტის გამოყენებას იმ ცხოველებზე, რომლებიდანაც იქნა გამოყოფილი ეშერინები.

ანალოგიური შედეგები აქვს მიღებული El. Nagen M.-ს (1970) და W. Wittig-ს (1971).

А.Б. Бурко, М.В. Курочки-მ (1973) ჩატარდა ცდები ძაღლების და ბოცვრების წვრილი ნაწლავის იზოლირებულ მარყუჯზე პათოგენობის შესწავლა და მათი მონაცემებით უფრო ინფორმაციული აღმოჩნდა ძაღლებზე ჩატარებული ცდები.

O. Söderzling-მ (1973) შეისწავლა 203 ეშერისის შტამი, რომლებიც გამოყოფილი იყო გოჭებიდან, ხბოებიდან, ხარებიდან და ადამიანებიდან, რომლებსაც პქონდათ დიარეა, ენტერიტი; მათ შორის 71%-მა გამოიწვია ნაწლავის მარყუჯში ცვლილებები. M.M. Шинауи და В.Г. Зароза (1974) ამტკიცებენ პირდაპირ კავშირს პათოგენობას თეთრი თაგვების მიმართ და ნაწლავის იზოლირებულ მარყუჯში განვითარებულ ცვლილებებს შორის.

ახალშობილი ცხოველების დაავადებამ ინტოქსიკაციის მოვლენებით მეცნიერებს მიანიშნა, რომ ეშერისიებს უნდა ჰქონდეთ ტოქსიკური ნივთიერებები. H. Vincent (1925) და D.Э. Беленъкий-მ (1932) დაადგინეს, რომ ეშერისიებს აქვთ ორი სახის ტოქსინი. ერთი არის თერმოლაბილური ეგზოტოქსინი, რომელიც გამოვლინდება ახალგაზრდა ბულიონიან კულტურებში, ძველ კულტურებში – თერმოსტაბილური ენდოტოქსინი. ეს უკანასკნელი გროვდება მიკრობული უჯრედების აუტოლიზისის შედეგად.

M-Weinberg, L. Prevot (1933) მიიღო ენდოტოქსინი, რომელმაც ლაბორატორიულ ცხოველებში შეყვანისას გამოიწვია ენტერიტი და დამბლა. კანქვეშა ინექციამ კი – ინფილტრაცია და ქსოვილების ნეკროზი.

И.В. Голубева-მ (1954) ეშერისის 130 შტამის შესწავლისას ყველას დაუდგინა ენდოტოქსინი. მათი პარენტერალური შეყვანისას ლაბორატორიულ ცხოველებს განუვითარდათ დიარეა. ენტეროპათო-

გენური ნაწლავის ჩხირის კულტურების ტოქსინების მოქმედება თეთრ თაგვებზე, ქათმის ემბრიონებზე და სხვადასხვა ლაბორატორიულ ცხოველებზე წარმოდგენილია მრავალი ავტორის შრომებში: W. Gruninger, K. Spink (1967), H. Smith, H. Williams (1967), M. Truszczynski და სხვ. (1968), Э.А. Светоч, И.Н. Рубцовой (1972), А.К. Сытдыков таңбаағыр. (1973), Л.К. Волынец (1973), Н.А. Цареградская (1976), Т.К. Курашвили (1976) და ა.შ.

ამ ავტორების მონაცემების გაანალიზებით ირკვევა, რომ ლაბორატორიული ცხოველების მიმართ ეშერიხიების ტოქსიკურობა არის ერთ-ერთი ძირითადი ვირულენტობის ფაქტორი და დიდი მნიშვნელობა კოლიინფექციების ეთიოპათოგენეზში. გარდა ამისა, ტოქსინებს ახასიათებს იმუნოგენური თვისებები, რაც აუცილებელია ბიოპრეპარატების წარმოებისათვის.

ენტერობაქტერიების პათოგენობის და ტოქსიკურობის ნიშან-თვისებათა გადაცემის საკითხზე, რასაც დიდი ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა აქვს, ფუნდამენტური გამოკვლევები აქვთ ჩატარებული ავტორთა ჯგუფს (ჯ. ნაჭყებია, მ. კაპანაძე, თ. შამათავა, ე. ნაჭყებია, 2002). მათი დასკვნით ცხოველთა კუჭ-ნაწლავში არსებულ კლოსტრიდიებს შეუძლიათ გადასცენ პათოგენობა არაპათოგენურ ეშერიხიებს, სტრეპტოკოკებს, სტაფილოკოკებს. ყოველივე ეს გასათვალისწინებელია სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისას.

A. Garcia, G. Fox James, Th. E Besser (2010) ცხოველური პროდუქტებიდან გამოყოფილი იქნა ენტეროპემორაგიული ეშერიხიის შტამები, რომლებიც პათოგენურები აღმოჩნდნენ ადამიანების მიმართ.

ანალოგიური მონაცემები აქვთ შვედ მეცნიერებს: Anna Aspan, Friki Erikssons (2010), რომელთაც დაადგინეს *E. coli* 0157 : H7-ის გადამდებლობა ხბოებიდან ადამიანებზე.

ეგვიპტელი მეცნიერების KM. Osman, AM. Mustafa (2012) დადგენილია ხდოებიდან გამოყოფილი პათოგენური ეშერისიების გენეტიკური თვისებების გადაცემა ცხვრებზე და თხებზე.

2.4. ეშერიხიოზის გავრცელება

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოზარდის კუჭაშლილობის კლინიკით მიმდინარე დაავადებებს ფართო გავრცელება აქვს ყველგან და მისი დროული დიაგნოსტიკა საშუალებას იძლევა, რაც შეიძლება მაღე გატარდეს მიზანმიმართული სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიებები.

С.Н. Вишелесский, Э.Я. Мазель-ის (1936) მონაცემებით, ეშერიხიოზი ხდება ხშირად გვხდება 1–3 დღის ასაკში. მათი დასენიანება ხდება ალიმენტარულად, ალმგრელი ცხოველის ორგანიზმში ხვდება დასვრილი საკვებით (რძით), მოხმარების საგნებით და ა.შ. დაავადება ვითარდება სწრაფად და ხშირ შემთხვევაში თავდება სიკვდილიანობით.

Н.А. Михин-ი (1939) მიუთითებს, რომ კოლიბაქტერიოზი არის მოზარდეულის ინფექციური დაავადება, გამოვლინდება, როგორც ენზოოტია და განსაკუთრებით მძიმედ მიმდინარეობს ორგანიზმის რეზისტენტობის დაქვეითების ფონზე.

П.П. Вишневский (1944), М.С. Ганнушкин (1949) კოლიბაქტერიოზის დაავადებების დიაგნოსტიკაში უპირატესობას ანიჭებენ დაავადების მასიურობას, რაც დამახასითებელია ინფექციებისათვის.

И.Ф. Квеситадзе-ს (1950) გამოკვლევებით კოლიბაქტერიოზის ალმგრელი ორგანოებში ხვდება ძირითადად კუჭ-ნაწლავის ტრაქტით, ასეთივე მონაცემები აქვს Р.А. Цион-ს (1963).

А. Dam-ი (1964) ახალშობილთა ინფექციური დაავადების ალმგრელებიდან 50%-მდე შემთხვევებში იყოფოდა *E. coli*, შემდეგ მოდის სალმონელები, პნევმო- და დიპლოკები და ა.შ. კოლისეპტიცემიის ძირითად ნიშნად თვლის ელენთიდან და მეზენტერიალური ლიმფური კვანძებიდან ნაწლავის ჩხირის გამოყოფას, ლეშის გაკვეთისას ელენთა სისხლსავსეა, კაფსულის

ქვეშ და ეპიკარდიუმის ქვეშ დამახასიათებელია სისხლჩაქცევები, ნაწლავებში კატარული შემსივნება ზომიერი შებერილობით, ლიმფური კვანძების პიპერებია, ასევე ფიბრინოზული პერიტონიტის და პოლიართორიტი.

O.C. Андреева (1966) თვლის, რომ ახალშობილი ხბოების კუჭ-ნაწლავის მასიური დაავადებები დაფიქსირებული აქვს იმ მეურნეობებშიც კი, სადაც ნორმალურია მაკე ფურების კვებისა და ასევე მოზარდის მოვლა-შენახვის პირობები.

Z. Smzeek და ა.შ. (1966) აღნიშნავს, რომ ზამთრის პერიოდში ახალშობილთა დიარეამ მიიღო სტაციონალური ხასიათი და პირველ დღეებში დაავადდა მიღებული ნამატის 90%.

მსხვილი რქიანი პირუტყვის დაავადებათა V საერთაშორისო კონგრესზე E.W. Fiesher-ის, J.E. Selman-ის, A.D. Ewan-ის, G.H. Fuente-ს (1968) მოხსენებები იტყობინებიან, რომ კოლიბაქტერიოზით სიკვდილი შეიძლება იყოს 3 შემთხვევაში:

- ა) სიკვდილი კოლისეპტიცემიით, როცა სუფთა კულტურის ერთი შტამი გამოიყოფა ყველა ორგანოდან და ელექტრო გადიდებულია;
- ბ) სიკვდილი დიარეის გამო, როცა ორგანიზმი გაუწყლოვნებულია (გამოფიტულია);
- გ) სიკვდილი ენტეროტოქსემიით. ამ დროს წვრილი ნაწლავიდან იყოფა *E. coli*-ს ტოქსიკური შტამები.

Н.И. Кибардина (1968) იტყობინება, რომ ნაწლავის ჩხირის პათოგენური შტამები დიდხანს ცოცხლობენ რძეში და რძის პროდუქტებში, რომლებიც ითვლებიან კოლიინფექციების აღმძვრელების გადაცემის ფაქტორებად.

И.А. Архангельский (1969) კოლიბაქტერიოზის ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობას ადასტურებს რამდენიმე საათიდან

რამდენიმე დღემდე, რაც განაპირობებს დაავადების მასიურობას დახმოიანების პირველ დღეებში. ხდებზე რამდენიმე პასაჟის შემდეგ იზრდება E.coli-ს ვირულენტობა.

A. Fiser, K.S. Svitovsky-მ (1970) სამრეწველო მეცნოველეობის მეურნეობებიდან გამოყვეს დიდი რაოდენობის E.coli-ს ჰემოლიზური შტამები, რაც მეტყველებს ცხოველთა სადგომების ანტისანიტარიულ მდგომარეობაზე და აქვს ეპიზოოტოლოგიური მნიშვნელობა.

Я.Е. Коляков-ი და ა.შ. (1970) კოლიბაქტერიოზის წამყვან ფაქტორებად თვლის: 1) დაავადების მასიურობას, 2) ასაკობრივ ფაქტორს – როცა დაავადება იწყება უშუალოდ დაბადების შემდეგ ან რამდენიმე დღის შემდეგ, 3) დაავადების აფეთქების კერობრიობას, 4) კერაში ზედმიწევნით მაღალი პროცენტი დაავადების, 5) ძირითადად ინფექციის მიმდინარეობის ბაგური შენახვის პერიოდი.

И.Ф. Гогилашвили, Ю.В. Бараташвили, В.Д. Церцвадзе (1974) მიუთითებენ, რომ თუ პათმასალიდან არ იქნა გამოყოფილი ნაწლავის ჩხირი, ეს არ ნიშნავს კოლიბაქტერიოზის მთლიანად გამოთხვას.

ასეთ შემთხვევებში ავტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დაავადების მასიურობას, მაღალ ლეტალობას, თერაპევტიული საშუალებების გამოყენებისას დაბალ ეფექტს, რაც რეკომენდებულია არაგადამდები დიარეის დროს.

Г.В. Гнатенко (1974), В.А. Воронина (1974) თვლიან, რომ ხდების კუჭ-ნაწლავის დაავადებას, ე.წ. დისპეციას აქვს ინფექციური ბუნება და გამოწვეულია პათოგენური ეშერიხიებით. ხდები ავადდებიან წელიწადის ნებისმიერ დროს, როდესაც ირლვევა სადგომების ვეტერინარიულ-სანიტარიული პირობები. ანალოგიური დასკვნები აქვთ გაკეთებული M.A. Сидоров-ს, Н.И. Блинов-ს (1977).

დაავადების აღმძვრელის წყარო შეიძლება იყოს დაავადება-მოხდილი ბაქტერიომტარებელი ცხოველები; მათ შორის მღრღნე-ლები და გარეული ფრინველები. რეზერვუარად შეიძლება იყოს ცხოველთა ქვეშაფენი, ნაკელი, მომვლელი პერსონალის ტანსაცმე-ლი, ფეხსაცმელი (B.B. Шорохов, С.Н. Ярцев – 2009).

PV. Peveira, TM. Santos and others (2011) მონაცემებით ახალშობილ ხდოებში დააფიქსირეს მასიური პნევმონიები, რისი მიზეზიც აღმო-ჩნდა დიარეის ფონზე რძის დალევინებისას სანიტარიული წესების დარღვევა, რაც აღმოჩნდა ეშერიხიებით კონტამინირებული.

A.B. Моторыгин-о (2011) ასკვნის, რომ ხდოების დიარეით დაავადების ეტიოლოგიაში წამყვანი ადგილი უკავია ეშერიხიებს (81,17%). О.Д. Скляров-ისა და A.B. Моторыгин-ის (2011) მიერ ეშერიხიების სხვადასხვა სეროტიპები გამოყოფილი იქნა როგორც მკვდარი და ავადმყოფი ხდოებიდან, ასევე ფერმის ინტერიერის სხვადასხვა ადგილებიდან.

H.B. Smith, M.B. Huggins, KM. Shaw (1987) ხდოების ეშერიხიების ეტიოლოგიით გამოწვეული დიარეიის დროს მაღალი ეფექტურობით გამოიყენეს კოლოფაგები.

R. Khachatryan, D. Hancock and others (2003); BW. Wileman and others (2011); H. Hariharan and others (2004); A.K. Шейко и т.д. (2006); L. Güler, K. Gündüz (2008); А.И. Воронцова, О.А. Колганова (2009) ხდოებიდან გამოყოფილი ეშერიხიების უმრავლესობა რეზისტენტულნი აღმოჩნდნენ დღესდღეობით ფართოდ გამოყენებული ანტიბიოტიკების მიმართ.

ახალშობილი ხდოების ეშერიხიოზით დაავადების მასიური ხა-სიათი მრავალი მეცნიერის გამოკვლევებით თითქმის თანხვედრილია, რაც გამოიხატება მოზარდის ანატომო-ფიზიოლოგიური თავისებურე-ბებით და პათოგენური ეშერიხიების მაღალი კონცენტრაციით,

რომლებიც ვირულენტურები ხდებიან ახალშობილების ორგანიზმში პასაჟირებით, დაავადება ვლინდება სხვადასხვა ფორმით, რაც ართულებს მის დიაგნოსტიკას. ჩვენი მონაცემები უფლებას გვაძლევს მივუერთდეთ აღნიშნული ავტორების მიერ ჩამოყალიბებულ კონკრეტულ მონაცემებს.

2.5. ეშერიხიოზის კლინიკური სურათი

ეშერიხიოზის კლინიკური სურათი თავისი ფორმით და მიმდინარეობით შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვანაირად. დაავადება ძირითადად ვლინდება დაბადებიდან პირველ დღეებში. დაავადების დასაწყისში ფეკალი იცვლის ფერს, სუნი მომჟავოა, მოგვიანობით ხდება თიხისებური და მოყვითალო ან ქაფიანი, შესქელებული რძის ნაწილებით და სისხლის მინარევებით, დეფეკაციის დასაწყისში და ბოლოს შეიმჩნევა კოლიკის ნიშნები. ხდები წყვეტებ წოვას, აღენიშნებათ დორბლის დენა, უკანა გასასვლელი მუდმივად დიაა. დასაწყისში ტემპერატურა მატულობს 1–2⁰-ით, ხოლო სიკვდილის წინ ქვეითდება ნორმის ქვევით და კვდებიან ღრმა კომატოზური მდგომარეობით (A.M. Овечкина – 1937) ანალოგიურ კლინიკურ სურათს აღწერს Н.А. Михин-ი (1939).

Ф. Гутира, И. Марек, Р. Манингер и И. Мочи (1961) მონაცემებით, ხდები კოლიბაქტერიოზით ავადდებიან მე-2 მე-3 დღეს, რომელიც ვლინდება ტოქსიკური და სეპტიცემიური ფორმებით. მიმდინარეობს ზემწვავედ, მწვავედ და ქვემწვავედ.

Н.И. Архангельский, А.М. Ахмедов, Н.В. Баданий, И.Х.Иргашов-ი (1969) აღნიშნავენ, რომ ახალშობილების დაავადება ვლინდება დაბადებიდან სამდღემდე ასაკში. თავიდან ტემპერატურა აღწევს 40⁰C-მდე რამდენიმე საათს, შემდეგ ეცემა 36⁰C-მდე და უფრო დაბლა.

W.I. Sojka-ს (1970) მონაცემებით, ხდება კოლიინფექცია ვლინდება ენტერიტით, სეპტიცემიით, მენინგიტით და ართრიტებით, გოჭებში ძირითადად – ნაწლავის ფორმით.

Я.Е. Коляков-ს და ა.შ. (1970), К.П. Чепурова და ა.შ. (1973) ეშერიხიოზი ძირითადად მიმდინარეობს სეპსისით ან ბაქტერიებით, რომლის დროსაც ტემპერატურის მომატება აუცილებლად არ ითვლება ან შეიძლება მოიმატოს ხანმოკლედ და უმნიშვნელოდ.

Өлемзегендарлудаң барлық белгелі мөрмөс ғараждәләрдә, һоғыздылғыс ғиб – ғүзәмдә. Асекеттегі Мәнбағұлымдәрдің ажырат А.К. Сытдыков-ы, И.Д. Бурлуцки-ы (1973).

Дж. Х. Рой (1973) კოლიბაქტერიოზს განიხილავს 3 კვირამდე ასაკის დაავადებას, რომელიც მიმდინარეობს სეპტიცემიური ან ლოკალიზებული ფორმით ნაწლავებში. კოლიბაქტერიები ქსოვილებში შედიან დაბადებიდან 24–36 საათში. ამ პერიოდში 36% ხბოებს არ გააჩნიათ გამაგლობულინები და მწვავე სეპტიცემიით ხბოები იხოვდებიან რამდენიმე საათში.

ნაწლავური ფორმის დროს ძირითადი ნიშანია მოყვითალო ანდა მოთეთრო პასტისმსგავსი დიარეა, თვალები ჩაცვენილი, ართრიტები. გულის მუშაობა დაქვეითებულია მასში კალიუმის რაოდენობის შემცირების გამო.

В.П. Шишков и а.შ. (1974) ხბოების ექსპერიმენტული კოლიბაქტერიოზის გამოწვევისას ტემპერატურის მცირე აწევა დააფიქსირებს, ხოლო დიარეა არ აღინიშნა 50% შემთხვევაში.

2.6. პათოლოგოანატომიური ცვლილებები ეშერისიოზის დროს

ხბოების კოლიბაქტერიოზის დროს პათოლოგოანატომიური ცვლილებები არასპეციფიკურია, რადგანაც ანალოგიური სურათი აღნიშნულია სხვა ინფექციური დაავადებების დროსაც.

А.М. Овечкин-ის (1937), Н.А. Михин-ის (1949), М.С. Ганнушкин-ის (1949) მონაცემებით, ლეშების გაკვეთისას აღინიშნებოდა კუჭნაწლავის ლორწოვანების ანთება, ადგილ-ადგილ ჰიპერემია, ზოგჯერ ეროზიები. ნაწლავების შიგთავსი წარმოადგენდა წებოსებურ მონაცრისფრო-მოყვითალო ფერის სითხეს, ხშირად ფიქსირდებოდა ელენთის გადიდება, ღვიძლში, თირკმელებში, გულში ხშირ შემთხვევებში აღინიშნებოდა დეგენერაციული ცვლილებები, ზოგჯერ ჰემორაგიებით. ეს უკანასკნელი იყო ასევე სეროზულ გარსებშიც.

В.Э. Черняк-ი (1957) აღწერს, რომ ლეში გარეგნულად იყო ჯანდაგი, ანალური ხვრელის გარშემო ადგილები ფეკალური მასებით დასვრილი, გაკვეთისას შეიმჩნეოდა საერთო სისხლნაკლებობა, მაჭიკში – შედედებული რძე, ნაწლავებში – დიდი რაოდენობით აირები, მაჭიკის ლორწოვანი შემსივნებული და დაფარული მინისმაგვარი ლორწოთი, ზოგჯერ მასზე – წერტილოვანი სისხლჩაქცევები. ასეთივე ცვლილებები იყო ნაწლავებში. სოლიტარული ფოლიკულები და ჰიერის ფოლიკულები გადიდებული.

კოლიბაქტერიოზის ქრონიკული ფორმის დროს ზოგჯერ აღინიშნა სეროზული ართრიტი.

Ф. Гутира და ა.შ. (1961) დაავადების ზემწვავე ფორმით მიმდინარეობისას მიუთითებენ ტოქსემიაზე ან სეპტიცემიაზე. აღინიშნება მაჭიკის და ნაწლავების მწვავე კატარი, პარენქიმული ორგანოების შემსივნება, ზოგჯერ ელენთის ჰიპერემია და ა.შ.

წვრილი ნაწლავის შედგენილობა ღებულობს მოწითალო ფერს, ნაღვლის ბუშტი გადავსებულია ნაღვლის წვენით, პერიკარდიუმზე და ენდოკარდიუმზე – სისხლჩაქცევები.

И.А. Архангельский (1969), В.В. Перминова (1969) მონაცემებით, კოლიბაქტერიოზის დროს ყველაზე დამახასიათებელი პათანატო-მიური ცვლილებებია: ლეშის გამოფიტვა, კანისა და ბალნის დასვრა ფეპალური მასებით, ხილული ლორწოვანი გარსების ანემია. ძირითადი ცვლილებები ლოკალიზებულია მუცლის ღრუში: მაჭიკში რძის ხაჭოსებური მასა, მაჭიკის ლორწოვანები გაწითლებული, ნაკეცებზე შეწითლებული, ინფილტრატის ნადები, ნაწლავების ლორწოვანი გარსები შემსივნებულია, დაფარულია წებოვანი ლორწოთი, ადგილებზე ჰიპერემიული სისხლჩაქცევებით, ჯორჯლის ლიმფური კვანძები გადიდებულია და განაჭერზე ჰიპერემიული, ელენთა მოშავო-მონაცრისფერო და მცირედ გადიდებული, ღვიძლი და თირკმელები ანემიური.

Р.А. Цион-ი (1952), В.П. Шишков-ი (1964), А.А. Золотых (1970) მონაცემებით, მწვავე ეშერისიოზისათვის დამახასიათებელია: ელენთის გადიდება, შინაგან ორგანოებში მასიური სისხლჩაქცევები, განსაკუთრებით ნაწლავების ლორწოვან გარსებში. ლიმფური კვანძები გადიდებულია.

K. Walser-ი (1962) ეშერისიოზით მკვდარი ხბოების ლეშების გაპვეთის დროს ნახულობდა: პოლიართორიტს, პლევრიტს, პერიკარდიტს, პერიტონიტის, კოლიენტერიტს.

В.А. Фортушный, П.И. Шмидов, О.П. Тимошенко (1965) აღნიშნავენ, რომ ეშერისიოზით დახოცილ ხბოებს გაკვეთისას აღენიშნათ კუნთების და კანქვეშა ქსოვილის სიმშრალე, მაჭიკის ლორწოვანის ჰიპერემია, ნაწლავების კატარულ-ჰემორაგიული ანთება, ღვიძლის გადიდება და მისი სისხლძარღვების გადავსება სისხლით, ელენთაში

გამოხატული ცვლილებები არ აღინიშნებოდა, გარდა კაფსულის ქვეშ მცირედ შესამჩნევი სისხლჩაქცევებისა.

А.К. Сытдыков-ов, И.Д. Бурлицкий-ев (1973) მონაცემებით, კოლიბაქტერიოზის დროს მთავარი ცვლილებებია ჯორჯლის ლიმფურ კვანძებში, ღვიძლში – სისხლგადავსება სისხლჩაქცევებით, ელენთის შემსივნება და პულპის დარბილება, თირკმელების ჰიპერემია, გულის კუნთის მოდუნება, პნევმონია, ნაღვლის ბუშტის გადავსება, დაავადების გახანგრძლივებისას აღინიშნა სახსრების ანთება.

Я.Е. Коляков-ов (1970) მიუთითებს, რომ ხდების ეშერიხიოზის დროს პათოლოგოანატომიური ცვლილებები დამოკიდებულია აღმძვრელის ვირულენტობაზე, დაავადების ხანგრძლივობაზე, ორგანიზმის რეზისტენტობაზე, რომელიც დაკავშირებულია მის იმუნობილოგიურ მდგომარეობაზე.

2.7. ეშერისიოზის მკურნალობა

ხდოების ეშერისიოზის მკურნალობა-პროფილაქტიკის კომპლექსში დიდი ყურადღება ეთმობა ანტიბაქტერიული და სხვადასხვა ბიოპრეპარატების გამოყენებას. მარტო ანტიბაქტერიული პრეპარატების გამოყენებით ხდოების ეშერისიოზის ლიკვიდირება ძნელია, მაგრამ მათი სწორი გამოყენებით (წინასწარ აღმძვრელის მიმართ პრეპარატების აქტიურობის განსაზღვრა) შესაძლებელია მნიშვნელოვნად შევამციროთ სიკვდილიანობა.

ბოლო ათწლეულებში ხდოების ეშერისიოზის პროფილაქტიკა-მკურნალობის კომპლექსური დონისძიებების დამუშავების შემდეგ გამოყენებული იქნა მრავალი პრეპარატი: ბიომიცინი, მონომიცინი, ლევომიცეტინი, სტრეპტომიცინი, ტეტრაციკლინი, კანამიცინი, ერითრომიცინი, ქლორამფენიკოლი, ფურაზოლიდონი და ა.შ.

А.Ахмедов-მა (1959) ეშერისიოზის სამკურნალოდ გამოიყენა უელფური (2,5 მლ მარილმჟავა, 5 გ პეპსინი, 0,08 გ ფურაცილინი და 1,0 ლ წყალი). პრეპარატმა აამაღლა ფერმენტიული აქტიურობა და მიკრობებზე მოქმედებდა ბაქტერიოციდულად და ბაქტერიოსტატიურად. სამკურნალო ეფექტმა მიაღწია 95,1%-ს, ხოლო პროფილაქტიკურმა – 99,17%-ს.

Т.П. Руденко-მ (1963) გამოიყენა ნეომიცინის ჯგუფის პრეპარატები (კანამიცინი, მონომიცინი, მიცერინი) ეშერისიოზით დაავა-დებული 45 ხდოს სამკურნალოდ და სულაფობა მთლიანად შეინარჩუნა. მანვე წარმატებულად გამოიყენა ფურაზოლიდონი. А.Б. Бояхчян-მა (1971) ასევე დადებითი შედეგები მიიღო ნეომიცინის გამოყენებისას.

А.В. Коротких-მა (1964), И.П. Хаустов-მა (1964), В.А. Фортушный-მ (1968) დადებითი შედეგებით გამოსცადეს მიცერინი, კოლიმიცინი,

პოლიმიქსინი და დაადგინეს მიცერინის და პოლიმიქსინის კომბინირებული გამოყენებისას მაღალი თერაპიული ეფექტურობა.

D. Beltschev-მა (1967) განკურნა 1500 ავადმყოფი ხბო, რისთვისაც გამოიყენა: ენტეროტონონი, ქლორამფენიკოლი და საგმამიცინი. მან ასევე წარმატებით გამოიყენა ჰიპერიმუნური კოლი, შრატი, რომელიც დამზადებული იყო 11 ადგილობრივი შტამის გამოყენებით.

I. Srabo (1967) აღნიშნავს, რომ ანტიბიოტიკების მასიურად გამოყენებამ წარმოშვა გამძლე ფორმები ტეტრაციკლინის და ნეომიცინის მიმართ. ავტორმა წარმატებით გამოიყენა კოლიფურანი, მაგრამ ზოგჯერ შეამჩნია მისი გამოყენებისას ტოქსიკური მოვლენები.

ნეომიცინის და ტეტრაციკლინის მიმართ ასევე დაბალი ეფექტურობა აქვს დაფიქსირებული M. Markovic-ს თანავტორებთან ერთად (1972). K.A. Driaba, A. Stryszak (1972) იტყობინებიან, რომ ხბოების ან გოჭების კოლიბაქტერიოზის სამკურნალოდ და პროფილაქტიკურად კარგი შედეგები იქნა მიღებული პრეპარატ ენტეროტონონის გამოყენებით. ამპიცილინის გამოყენებით დადებით შედეგებზე მიუთითებენ П.Н. Шмидов-ი, В.К. Гонсеровская (1972).

W. Radominski, M. Kondracki (1974) შეამოწმეს რონდომიცინი ახალშობილი ხბოების კუჭაშლილობის დროს *in vitro* და *in vivo* *E. coli*-ს შტამების მიმართ და 10-ჯერ ეფექტური აღმოჩნდა ოქსიტეტრაციკლინზე.

ანტიბიოტიკებთან და სხვა ქიმიოთერაპევტული პრეპარატების გარდა, სპეციფიკური საშუალებებიდან სხვადასხვა წლებში წარმატებით იყენებდნენ ფაგოთერაპიას და ფაგოპროფილაქტიკას (К.Н. Шерстобоев – 1944; И.Ф. Квеситадзе – 1950; Р.И. Николае Кажал – 1968).

И.Ф. Гогилашвили თანაავტორობით (1974) გამოცდილი იქნა კოლიფაგი და კოლიგერტნერფაგი როგორც ცალ-ცალკე, ასევე ანტიბიოტიკებთან ერთად. შედეგებმა აჩვენა, რომ ფაგის გამოყენება კომბინირებულად უფრო ეფექტური აღმოჩნდა.

თ. ხარებაძე (1982, 2004) რეკომენდაციას უწევს კოლიფაგების მომზადებისას ეპიზოოტიური შტამების ჩართვას, რაც პოლივალენტური პრეპარატის მიღება შესაძლებლობს იძლევა. ასეთი ფაგები გამოირჩევიან ფართო ლიზისური საექტრით როგორც *in vitro*, ასევე მათი ცხოველებზე გამოყენებისას. ავტორი მიუთითებს ეშერიხიოზის ფაგოდიაგნოსტიკას, რაც სპეციფიკურია და არ ჩამოუვარდება ამ დაავადების დიაგნოსტიკის სხვა მეთოდებს.

ეშერიხიოზის დროს დისბაქტერიოზის დარეგულირებისა და ენტეროპათოგენური ბაქტერიების ანტაგონისტურ მოქმედების შესწავლისას ი. ბარათაშვილმა, თ. ყურაშვილმა, თ. ტივიშვილმა (2003); თ. ტივიშვილმა (2001) დაადგინეს, რომ მაღალეფექტური აღმოჩნდა არაპათოგენური M-17 და რომაკოლი. ამ ბაქტერიების კულტივირება ხდებოდა მცენარეულ საკვებ ნიადაგებზე (ქერის ნახარში და სოკოს ანარჩენები). პრეპარატის დამზადება საგრძნობლად იაფია ტრადიციული ხორცპროდუქტებისაგან მომზადებულ ანალოგებთან შედარებით.

არის მონაცემები გლობულინური პრეპარატების მოზარდის დიარეის პროფილაქტიკა-მკურნალობის ეფექტურობაზე, ეს პრეპარატები იწვევენ სხვა საშუალებების ეფექტურობის გაზრდას (B.P. Урбан – 1966; H. Fey – 1966; E.F. Logan თანაავტ., 1971; Г.В. Пономорев – 1974).

სამკურნალო საშუალებების მაღალი ეფექტურობა დიდადაა დამოკიდებული განსაკუთრებით მსხვილ მეურნეობებში ვეტერინარიულ-სანიტარიული დონისძიებების გაუმჯობესებაზე, რეკომენდა-

ციას უწევენ ხბოების გამოზრდის ციკლური ტექნოლოგიის დანერგვას (A.B. Голиков, A.C. Вовк, A.T. Марчук, 1970).

C.B. Лыско თანაავტორებთან ერთად (2006) აღნიშნავს, რომ ახალშობილების ანტიბაქტერიული პრეპარატებით მკურნალობისას საჭიროა ყველა იმ მიკრობების სპეციფის არსებობის გათვალისწინებით, რომლებიც მონაწილეობენ ინფექციურ პროცესში. თანაც მიუთითებენ, რომ თანამედროვე ანტიბიოტიკებმაც კი, როგორებიცაა კანამიცინი და გენტამიცინი, ეფექტურობა ჩამოუქვეითდათ 100-დან 0%-მდე.

A.B. Олейник-ი (2009) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის ფაქტორს ხბოების შენარჩუნებისათვის. კერძოდ, ხსენის დალევინებისას სისუფთავის დაცვას, ხბოების ინდივიდუალურ შენახვას, შენობის დეზინფექციას. მკურნალობა არის იძულებითი და მიუთითებს ანტიბიოტიკების (ამინოგლიკოზიდები, ფტორქინოლინები) მიცემას. ასევე სიმპტომატური და იმუნოსტიმულიატორების, ჰიპერიმუნური შრატების, პრობიოკების გამოყენებას.

3. საკუთარი გამოკვლევები

3.1. კვლევის მასალები და მეთოდები

ახალშობილი ხმების მწვავე დიარეით მიმდინარე დაავადებასიკვდილიანობის შესწავლა მოვახდინეთ ახლად შექმნილი თელეთის სანაშენო მეურნეობაში, საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში და გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, ვირუსოლოგიის და მიკრობიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, 2008–2011 წლებში კვლევისათვის გამოყენებული იქნა ეპიდემიოლოგიური, კლინიკური, პათოლოგო-ანატომიური და ბაქტერიოლოგიური მეთოდები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ლაბორატორიული კვლევის მეთოდებს.

კვლევისათვის გამოყენებული იქნა ავადმყოფი და მკვდარი ხმები; საკონტროლო – ჯანმრთელი ხმები.

ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისათვის სინჯებს ვიღებდით მხოლოდ ახალი ლეშებიდან, არაუგვიანეს სიკვდილიდან 6 საათის შემდეგ. გამოსაკვლევად ვიღებდით ასევე სწორი ნაწლავის შიგთავს ავადმყოფი და ჯანმრთელი ხმებიდან. ამოთესვას ვაწარმოებდით გულიდან, ღვიძლიდან, ელენთიდან, თირკმელიდან, ჯორჯლის ლიმფური კვანძებიდან, თორმეტგოჯა ნაწლავიდან, ფილტვიდან, ნაღვლის ბუშტიდან, ძვლისა და თავის ტვინიდან. გამოკვლეული იქნა მკვდარი და იძულებით დაკლული ხმის 70 პათოლოგიური მასალა 200 ავადმყოფი და 10 ჯანმრთელი ხმის ფეკალის სინჯი.

მკვდარი და იძულებით დაკლული ხმის 60 მასალა შესწავლილი იქნა სრულად, რიგ შემთხვევაში მასალა ამოვთესეთ თავისა და ძვლის ტვინიდან.

პირველადი ამოთესვა ვაწარმოეთ ხორცეპტონიან ბულიონზე (ხპ), ხორცეპტონიან აგარზე (ხპა), ენდოს ნიადაგზე და მის მოდიფიცირებულ ვარიანტზე, რომელიც შეიცავს (გ/ლიტრში):

| | |
|---------------------------|---------|
| პეპტონი | - 11,50 |
| ლაქტოზა | - 12,90 |
| სუფრის მარილი | - 3,60 |
| კალიუმის ჰიდროფოსფატი | - 0,48 |
| კალიუმის დიპიდროფოსფატი | - 0,22 |
| ნატრიუმის სულფატი | - 0,86 |
| ნატრიუმის დიაურილ სულფატი | - 0,01 |
| ძირითადი ფუქსინი | - 0,83 |
| აგარ-აგარი | - 9,60 |

$$\text{pH} \pm (25^{\circ}\text{C} \text{ დროს}) - 7,3 \pm 0,2$$

ასეთი რეცეპტით მომზადებული ნიადაგის (ფხვნილს) 40,0 გ ვხსნით 1000 მლ გამოხდილ წყალში, ვაღულებთ ნაწილაკების სრულ გახსნამდე, ვასტერილებთ ავტოკლავირებით 1,1 ატმოსფეროზე (121 გ) 15 წუთს, ფინჯნებში ჩასხმამდე გულდასმით ვურევთ. ეს ნიადაგი ეფექტურად გამოიყენება ასევე წყლის, ჩამდგარი გუბეების, რძის და სხვა პროდუქტების გამოსაკვლევად. ნატრიუმის სულფატს და ძირითად ფუქსინს აქვს დამთრგუნველი ეფექტი გრამუარყოფად მიკრობებზე. მიკროორგანიზმები ლაქტოზას შლიან ალდეპიდად და მჟავად. ალდეპიდი თავის მხრივ ათავისუფლებს ფუქსინს ფუქსინ-სულფატიდური კომპლექსიდან და აძლიერებს კოლონიებს წითლად. ეშერიხიებს ეს რეაქცია მკვეთრად აქვთ გამოხატული, ხდება ფუქსინის კრისტალიზაცია და კოლონიებს ეძლევათ მეტალისებური ბზინგარება.

მოდიფიცირებული ანუ სრულყოფილი ენდოს ნიადაგი ეშერიხიების გამოსავლიანობის მიზნით შემოწმდა ფართოდ გამოყენებულ ენდოს არეზე. მიკრობების გამოსავლის კრიტერიუმად ვიღებდით: განფენილ ზრდას, ინტენსიურ ზრდას, სუსტ ზრდას, მწირე ზრდას, ზრდა არ არსებობს. ერთეულ შემთხვევებში – ამოთესვას ვაწარმოებდით კიტ-ტაროცის ნიადაგზე ანაერობული ენტეროქსემიის

გამოთიშვის მიზნით. ფეკალის სინჯებს დათესვის წინ ვაზავებდით 1:100-ზე 1 წვეთს ენდოს აგარზე და მის მოდიფიცირებულ ვარიანტზე. 37°C-ზე 24-საათიანი კულტივირების შემდეგ ვსწავლობდით ზრდის ხასიათს და ვაკეთებდით ნაცხებს, ვღებავდით გრამის წესით და ვსინჯავდით მიკროსკოპში. ენდოს აგარიდან ვარჩევდით ეშერისიებისათვის დამახასიათებელ კოლონიებს (სწორზედაპიროვანი, ამობურცული, სწორბოლოებიანი, წითელი). გადარჩეულ კოლონიებს სუფთა კულტურის მიღებისათვის ვთესავდით თხიერ, ნახევრადთხიერ და მყარ ნიადაგებზე, ვსწავლობდით მორფოლოგიურ, ტინქტორიალურ თვისებებს და მოძრაობას. კულტურების ბიოქიმიურ თვისებებს ვსწავლობდით სადიფერენციაციო ნიადაგების ფერად მწკრივზე მიღებული მეთოდების მიხედვით.

გამოყოფილი კულტურების პათოგენობას და ვირულენტობას ვსწავლობდით თეთრ თაგვებზე წონით 16–18 გ, რომელთაც ვასენიანებდით 24-საათიანი აგარის კულტურის ჩამონარეცხით 500, 250, 125, 50 მილიონი მიკრობული სხეულით. საცდელ ცხოველებს ვასენიანებდით მიკრობული მასის (0,5 მლ) პერიტონეუმის დრუში შეყვანით. საკონტროლო თაგვებს – პერიტონეუმის დრუში შეგვყავდა ფიზიოლოგიური ხსნარი 0,5 მლ ოდენობით. დასენიანებულ თაგვებზე დაკვირდებას ვაწარმოებდით 5 დღე-დამის განმავლობაში. მკვდარ თაგვებს ვიკვლევდით ბაქტერიოლოგიურად. 10 დღის შემდეგ ცოცხლად დარჩენილ თაგვებს ვკლავდით და ვიკვლევდით ბაქტერიოლოგიურად.

ეშერისიების ტოქსიგენობას ვსწავლობდით ხ.კ. ბულიონში 1, 2, 7 დღე-დამის განმავლობაში კულტივირებით, ფილტრაციით შამბერლანის ფილტრში და თაგვების დასენიანებით (დოზებით: 0,5; 0,3; 0,2 მლ). თითოეული დოზისათვის აღებული იქნა 4 თაგვი წონით 16–18 გ. საკონტროლო თაგვებს შევუყვანეთ ფიზიოლოგიური ხსნარი 0,5 მლ.

ა და ბ ტოქსინების დიფერენცირებას ვაწარმოებდით 0,5%-იანი სისხლიან აგარზე. ეშერიხიების და სალმონელების 24-საათიანი კულტივირებით.

ეშერიხიების მიერ ჰემოლიზინების პროდუცირებას ვსწავლობდით სისხლიან ხ.პ.ა-ზე 1, 2, 7 დღე-დამეში კულტივირებით. ჰემოლიზინი არის ბაქტერიული ტოქსინი, რომელიც იწვევს ერითროციტების ლიზისს და ამაღლებს ეშერიხიების ვირულენტობას. ცნობილია ჰემოლიზინების ორი ნაირსახეობა: ა და ბ. ა-ჰემოლიზინი უჯრედისაგან თავისუფალ მდგომარეობაში, ბ-ჰემოლიზინი მჭიდროდაა ბაქტერიულ უჯრედთან. ა არის თერმოლაბილური მუავე პროტეინი.

ჰემოლიზინების პროდუცირების კოდირდება პლაზმიდებით ან დნმ-ს ქრომოსომებით. ჰემოლიზინების დნმ – სინთეზი დამახასიათებულია ეშერიხიებისათვის რომლებიც გვხვდება ცხოველთა პათოლოგიურ მასალაში.

ანტიბაქტერიული პრეპარატების მიმართ ეშერიხიების და სალმონელების მგრძნობელობას და რეზისტენტობას ვსწავლობდით დისკების და ზოგიერთ შემთხვევაში სერიული განზავების მეთოდით. ვინაიდან მგრძნობელობის შედეგებზე არსებითი განსხვავება არ იქნა დაფიქსირებული. შევჩერდით დისკების მეთოდზე, როგორც უფრო შესასრულებელ მეთოდზე.

მგრძნობელობაზე შემოწმდა 20 ეშერიხიის და სალმონელას 10 კულტურა შემდეგი ანტიბიოტიკის მიმართ: პენიცილინი, ამოქსაცილინი, ოქსაცილინი, ამპიოქსი, ამპიცილინი, კარბენიცილინი, ციპროფლქსაცინი, ცეფოტაქსიმი, ცეფტაზიდიმი, ნეომიცინი, ტეტრაციკლინი. გარდა აღნიშნულებისა, ანტიბაქტერიული ეფექტურობა შემოწმდა ახალი თაობის 4 ანტიბაქტერიული პრეპარატის: სინოლუქსი, ბივიფერმი, ბარმოეთილ-9 და ბარმოცილ- S მიმართ.

3.2. ეპიზოოტოლოგიური გამოკვლევა

საქართველოში მეცნიერებების პრივატიზაციის შემდეგ იქმნება ახალი ინდივიდუალური და ფერმერული მეურნეობები ცხოველთა სახეობის მიხედვით.

საქართველოში მსხვილი მეურნეობების არსებობის პერიოდში ახალშობილი ხბოების, გოჭების მასიური სიკვდილიანობა ეშერისიონით, სალმონელოზით დაფიქსირებული იყო თითქმის ყველგან. ამ დაავადებებით იხოცებოდა მოზარდეულის დიდი რაოდენობა, რაც საგრძნობ ეკონომიკურ ზარალს აყენებდა მეცნიერებას და ფერხდებოდა ცხოველთა აღწარმოება.

წარმოქმნილი რეზისტენტული შტამების გამო ძალიან დაბალი იყო ანტიბიოტიკების და სულფანილამიდული პრეპარატების ეფექტურობა.

თანამედროვე პერიოდში, როდესაც საქართველოში საგრძნობლადაა შემცირებული მსხვილი მეურნეობები, აღნიშნული დაავადებები შემცირდა. თუმცა ცხოველთა მაღალი კონცენტრაციის შექმნა მცირე ფართობებზე ხელს უწყობს მოზარდეულში კუჭნაწლავის მწვავე ინფექციების განვითარებას. ამის მაგალითია ახლად შექმნილი თელეთის 500-სულიანი სანაშენე მეურნეობა, რომელიც შეიქმნა 2008 წელს, ევროპიდან შემოყვანილი მაღალპროდუქტიული მსხვილი რქიანი პირუტყვით (ჯიში: შვიცი ბრაუნი, აირშირული წითელი, სიმენტალი).

შემოყვანილი პირუტყვი განთავსდა ყოფილი მეცნიერებების კომპლექსში, სადაც წინა წლებში ადგილი ჰქონდა მოზარდეულის სხვადასხვა დაავადებებსა და სიკვდილიანობას. დაკომპლექტებისას დაცული არ იყო ხბოების მიღების და გამოზრდის რიგი ტექნოლოგიური პირობები, კერძოდ: სამშობიაროებში მოსაგები პირუტყვის მცირე ჯგუფებად განთავსება, პერიოდული დეზინფექციები,

ხბოებისათვის ინდივიდუალური საწოვრების დაწესება, მათი დამდუღვრა და ა.შ., რაც მაქსიმალურად ხელს შეუშლიდა ცხოველთა საღგომების პათოგენური მიკრობებით კონტამინაციას.

მეურნეობაში ახალ შობილი ხბოების მომვლელ ყველა პერსონალს ჰყავს თავისი პირადი პირუტყვი, ისინი არ მოწმდებიან ენტერობაქტერიების მტარებლობაზე, რაც არ გამორიცხავს მის მიერ ინფექციის შემოტანაზე, დიდია სამეურნეო კავშირები, არ მუშაობს სანგამტარი და ა.შ.

მეურნეობაში პირუტყვის კვება დაბალანსებულია: უზრუნველყოფილია (ცხრ. 1) როგორც უხეში, ისე წვნიანი და კომბინირებული საკვებით.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, უშობლების კვებითი ულუფა შედგებოდა: მდელოს თივა – 13 კგ; იონჯის თივა – 3 კგ და კომბინირებული საკვები – 3 კგ; რაც შეადგენს 10,47 კგ საკვებ ერთეულს, საჭიროებდა 9,0 საკვებ ერთეულს, ე.ი. 1,47-ით მეტია ნორმასთან შედარებით. სამიმოცვლო ენერგია შეადგენდა 147,6 ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 94,5 გ.ჯოულისა, ე.ი. დადებითი ბალანსმა შეადგინა 53,1. ულუფაში ასევე დადებითი მონელებადი პროტეინის, Ca-ის, კაროტინის და D ვიტამინის შემადგენლობის მხრივ.

ბალანსია ფოსფორის მხრივ (ნაცვლად 55 გრამისა შეიცავდა 53,44 გ, ე.ი. უარყოფითმა ბალანსმა შეადგინა 1,6 გ); აღინიშნა შაქრების დეფიციტი (ნაცვლად 870 გრამისა იყო 440 გ, ე.ი. 430 გრამით ნაკლები). როგორც ულუფის ანალიზი გვაჩვენებს და ასევე უამრავი ლიტერატურის მონაცემითაც დასტურდება, რომ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოზარდის კუჭ-აშლილობის კლინიკით მიმდინარე დაავადებები (დისპეცია, ეშერისიოზი, სალმონელოზი და სხვა) ძირითადად გამოწვეულია მაკეობის მეორე პერიოდში ფურების

ცხრილი 1

თელეთის სანაშენო მეურნეობაში უშობლების
სადღელამისო კვების ულუფა

| საკვების დასახელება | საკვების რაოდენობა გვ-ზე | ულუფის შემადგენლობა | | | | | | | |
|-----------------------------|-----------------------------|-------------------------|-------------------------------|----------------------------|--------|-------|--------------|---------------------------------------|-------------|
| | | საბეჭიო ერთეული (გვ) | სამიზოცვლი ენერგია გ/ჯოული | მონელებადი პროცენტი (%) | Ca (%) | P (%) | კაროტინი (%) | D ვიტამინი საერთაშორისო ერთეული | შაქრები (%) |
| 1. მდელოს თივა | 13 | 5,46 | 89,7 | 715 | 93,6 | 28,6 | 195 | 1690 | 260 |
| 2. იონჯის თივა | 3 | 1,53 | 20,1 | 303 | 51 | 6,6 | 147 | 1080 | 60 |
| 3. კომბინირებული საკვები | 3 | 3,84 | 37,8 | 630 | 5,13 | 18,24 | 4,4 | 11,5 | 120 |
| ს უ ლ | | 10,47 | 147,6 | 1648 | 149,73 | 53,44 | 346,4 | 2781,5 | 440 |
| საჭიროებს ნორმით | | 9,0 | 94,5 | 990 | 80 | 55 | 280 | 6,9 | 870 |
| ბალანსი | | +1,47 | +53,1 | +658 | +69,73 | -1,6 | +66,4 | +2774 | -430 |

არასრულფასოვანი კვების გამო. ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფს ხსენის სრულფასოვნობას, ე.ი. მოზარდში კოლოსტრალური იმუნიტეტის უზრუნველყოფას. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში უშობლების კვება იყო სრულფასოვანი ახალშობილებში, თავი მაინც იჩინა კუჭ-აშლილობის კლინიკით მიმდინარე დაავადების მასიურმა გამოვლინებამ.

ფურის ხსენი – ეს არის უნიკალური პროდუქტი კვებითი ღირებულებით და დაცვითი ფუნქციებით. სრულფასოვანი ხსენი უზრუნველყოფს ახალშობილის მონელების პროცესების ნორმალიზაციის, სასარგებლო მიკროფლორის ჩასახლებას. ეს არის მოზარდეულის იმუნოგლობულინების ერთადერთი წყარო, შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს, აქტიურ ლეიკოციტებს, ლიმფოციტებს, რომელთაც გააჩნიათ დაცვითი ფუნქციები, და სხვა სასარგებლო თვისებები. ხსენი არის სითხე, რომელიც წარმოიქმნება ფურის სარძევე ჯირკვალში მაკეობის ბოლო პერიოდში და მოგებიდან 3–4 დღის განმავლობაში. Ig (იმუნოგლობულინების) ყველაზე ბევრია პირველ მონაწველში და თუ ხბოს იგი დაუგვიანდა და მოხვდა მის ორგანიზმში პათოგენური ეშერიხიები, იწყება ინფექციის განვითარება. გარდა ამისა, ხსენის ხარისხი დამოკიდებულია იმუნოგლობულინების ხარისხეც (მაღალი, საშუალო და დაბალი).

ფერმაში თავიდან ხბოებში გამოვლინდა დიარეის სუსტი ფორმა, რამაც შემდგომში გამოიწვია მასიური სიკვდილიანობა მიუხედავად ინტენსიური მედიკამენტოზური თერაპიისა. ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაგვანახა, რომ ადგილი ჰქონდა შენობების, მოვლა-შენახვის საგნების მაღალვირულენტური ენტერობაქტერიებით კონტამინაციას, გაპათოგენდნენ აღნიშნული მიკროორგანიზმები პასაუირებით, ე.ი. ახალშობილი ხბოების გადაავადებით.

დაკვირვება გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მიუხედავად მაკე ფურების სრულფასოვანი კვებისა, ცხოველთა სადგომების ენტერობაქტერიების მაღალი კონცენტრაციისა ახალშობილ ხბოებზე და მათი პასაჟირებისა შესაძლებელია კოლოსტრალური იმუნიტეტის ტიტრის დაქვეითება და ინფექციის განვითარება, თუ არ მოხდა ეპიზოოტის ჯაჭვის გაწყვეტის დონისძიებების მუდმივად გატარება. აქტუალურია ეპიდემიური თვალსაზრისით ფურების მთელი სულადობის გამოკვლევა ენტეროპათოგენური ბაქტერიების მტარებლობაზე, ვინაიდან ერთეული ინდივიდები ითვლებიან მტარებლებად. შემდგომში მათ მიერ გამოყოფილი ენტერობაქტერიებით სენიანდება ახალშობილი ხბოები, რომელთაც არა აქვთ იმუნიტეტი, ვითარდება დაავადება და შემდგომში იზრდება ვირულენტობა, რაც განაპირობებს მასიურ სიკვდილიანობას.

ბევრი საკითხი, რომელიც ეხება საქართველოში ხბოების კუჭნაწლავის მწვავე ინფექციებს წვრილ გლეხურ, ფერმერულ და ახლად დაკომპლექტებულ მსხვილ მეურნეობებში, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ამ დროს დაავადებებს მეცხოველეობისათვის მოაქვთ დიდი ეკონომიკური ზარალი.

ბევრ შემთხვევებში ხბოების კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებების მიზეზების დადგენა პრაქტიკოს სპეციალისტებს არ შეუძლიათ. ამ ჯგუფის დაავადებები დიაგნოსტირდება როგორც „დისპეცისია“ ან გასტროენტერიტი.

ხბოების დაავადებათა ეპიზოოტოლოგიის შესწავლისას ყურადღებას ვაქცევდით მათი აღმოცენების და გავრცელების დინამიკას, მასიურობას, ცხოველთა ასაკს, მაკე ფურების და ახალშობილი ხბოების კვებას, სეზონურობას, ავადობას, ლეტალობას, კონტაგიოზურობას, ზოოპიგიურ პირობებს და სხვა მაჩვენებლებს.

ეპიზოოტოლოგიური სიტუაციის ზოგადი ანალიზისათვის
ანგარიშს ვუწევდით კლინიკური, პათოლოგოანატომიური,
ბაქტერიოლოგიური გამოკვლევების შედეგებს.

ხდოები მოთავსებულია ინდივიდუალურ და ჯგუფურ გალიებში,
იუნიტები საწოვრებს.

ხდოების დიარეით დაგადების დინამიკის შესწავლით დაგად-
გინეთ, რომ აღინიშნებოდა კუჭაშლილობის ერთეული შემთხვევები
იოლი ფორმით, რაც ადვილად იკურნებოდა იზოტონური სსნარების
გადასხმებით და ეპიდემიის ჯაჭვის გაწყვეტის ღონისძიებათა
გატარების შედეგად.

აღნიშნული მეურნეობა წინა წლებში (1998–2000 წ.წ.)
არაკეთილსაიმედო იყო კოლიბაქტერიოზის, სალმონელოზის და სხვა
კუჭ-ნაწლავის მწვავე ინფექციების მიმართ, რომელთა შორის უფრო
დიდი მასშტაბით ფიქსირდებოდა ეშერიხიოზი მრავალი სამკურნალო
თუ პროფილაქტიკური საშუალებების გამოცდით მაღალეფებური
აღმოჩნდა ანტაგონისტური, არაპათოგენური შტამი M-17-ის
მცენარეულ საკვებ არებზე კულტივირებით მიღებული პრეპარატი –
კოლიბაქტერინი. პრეპარატის მიცემასთან ერთად ტარდებოდა
ეპიდემიური ჯაჭვის გაწყვეტის ღონისძიებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე დადგენილია, რომ ნებისმიერ
მეურნეობაში ახალშობილი ხდოების შენარჩუნებისათვის არ
არსებობს უნიფიცირებული რეცეპტი, ცალკეულ შემთხვევაში
საჭიროა შესწავლილი იქნეს ცხოველთა შენახვის, მოვლის და
ვეტერინარიულ-სანიტარიული მდგომარეობა, სადგომების
მიკრობიოლოგიური დინამიკის ანალიზი, სულადობის
დაკომპლექტების თავისებურებანი და სხვა უმნიშვნელო საკითხებიც
კი. ახალშობილი ხდოების დავადებები შეიძლება განვირობებული
იყოს როგორც არაგადამდები, ისე ინფექციური ეტიოლოგიით. ამ

დააგადებათა კლინიკური დიფერენცირება ზედმიწევნით როულია, რადგანაც ახალშობილობის პერიოდში ცენტრალურ ნერვულ სისტემას არა აქვს დიფერენცირებული პასუხი სხვადასხვა გამლიზიანებელზე.

3.3. ეშერისიოზის კლინიკური სურათის შესწავლა ხბოებში

ახალშობილი ხბოების დაავადებები, როგორც ცნობილია, შეიძლება განპირობებული იყოს როგორც არაინფექციური, ასევე ინფექციური ეტიოლოგით. ამ დაავადებათა კლინიკური დიფერენცირება ზედმიწევნით რთულია, ვინაიდან ახალშობილობის პერიოდში ცენტრალურ ნერვულ სისტემას არ შეუძლია მისცეს დიფერენცირებული პასუხი სხვადასხვა გამღიზიანებელზე. აქედან გამომდინარე, ახალშობილი ხბოების დაავადებათა კლინიკური გამოვლინება ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მიუხედავად ამისა, კლინიკური ნიშნების გამოვლინებათა შესწავლა სრულიად აუცილებელია, რადგანაც დიაგნოსტიკურ გამოკვლევათა კომპლექსში კლინიკური გამოკვლევის მეთოდის გამოთიშვა არ შეიძლება.

ჩვენი გამოკვლევის მიზანი იყო ახალშობილი ხბოების დიარეის კლინიკით მიმდინარე დაავადებათა გამოვლინება და მიმდინარეობის შესწავლა. ხბოები იბადებოდნენ ჯანმრთელები, ნორმოტროფიკები, ცოცხალი მასით 32–38 კგ, მ.შ. დედლები 60%.

ჩვენი კვლევის პერიოდში მეურნეობის ვეტსპეციალისტებთან ერთად თელეთის მეურნეობაში აღრიცხული და დარეგისტრირებულია 200 ავადმყოფი ხბო შემდეგი სტატისტიკით (ცხრილი 2).

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, ყველაზე მეტი შემთხვევა დიარეით დაავადებისა აღინიშნა პირველ მეორე დღეს, რომლის დროსაც დაფიქსირდა შესაბამისად 75 (37,5%) და 38 (19%) სული. შემდგომში დაავადებულთა რაოდენობა მცირდებოდა თხუთმეტ დღემდე (2,5%) თუმცა სპორადიულ შემთხვევებს ადგილი პქონდა 20 დღემდე ასაკშიც.

ცხრილი 2

**თელეთის სანაშენო მეურნეობაში ახალშობილი
ხდოების დაავადებათა გამოვლენის დინამიკა**

| ცხოველთა ასაკი | დაავადებულ ცხოველთა რაოდენობა | დაავადებულთა რაოდენობა %-ში |
|-------------------------|-------------------------------------|-----------------------------------|
| პირველი დღე | 75 | 37,5 |
| მეორე დღე | 38 | 19 |
| მესამე დღე | 25 | 12,5 |
| მეოთხე დღე | 15 | 7,5 |
| მეხუთე დღე | 13 | 6,5 |
| მეექვსე დღე | 10 | 5,0 |
| მეშვიდე დღე | 11 | 5,5 |
| მერვე დღე | 8 | 4,0 |
| თხუთმეტ დღემდე და ზევით | 5 | 2,5 |

ავადმყოფი ხდოებისათვის დამახასიათებელი იყო კუჭაშლილობა ფეკალის მძაფრი სუნით, სისხლისა და ლორწოვანის მინარევით, ასეთი კლინიკური მიმდინარეობის ხდოები კვდებოდნენ 24–48 საათის განმავლობაში.

კლინიკური დაკვირვებით ეჭვი მიტანილი იქნა ეშერისიოზზე, რომელიც კლინდებოდა სეპტიცემიურ და ენტეროტოქსემიურ ფორმებში. დაავადების სეპტიცემიური ფორმა ხასიათდებოდა შემდეგი კლინიკური ნიშნებით: ხდოებს აღენიშნებოდათ დათრგუნვა, ერთეულებს ტემპერატურის მცირედი მომატება ($39,7\text{--}41^{\circ}\text{C}$), რამდენამდე პულსის მომატება ($95\text{--}100$ დარტყმა); სუნთქვის გახშირება ($35\text{--}40$), ბალნის აბურძგვნა, საკვებზე უარი, უმრავლესობას აღენიშნებოდა დეპრესია, თვალის ლორწოვანი გარსების პიპერემია, ცრემლდენა, ცხოველები ძირითადად იმყოფებოდნენ დაწოლილ მდგომარეობაში.



სურ. 1. ეშერიხიოზის სეპტიცემიური ფორმა

სეპტიცემბრი ფორმა მიმდინარეობდა ზემწვავე, მწვავე და ქვემწვავე ფორმებში.

ზემწვავე ფორმა ხდოებში ვლინდებოდა დაბადებიდან მეორუ-
მეექსე დღეს, დაავადების ხანგრძლივობა გრძელდებოდა რამდენიმე
საათს, ძლიერი დიარეით; თუმცა ზოგჯერ დიარეა ვერც
ვითარდებოდა. ხდოებს ხშირად უვითარდებოდა ეპილეფსიური
მოვლენები ტემპერატურის მკვეთრი მომატებით 41°C -მდე, ხდოები
წრიული მოძრაობით თავებით ეხებოდნენ კედელს. ასეთი მოვლენები
გრძელდებოდა 1 საათამდე და ხდოები იხოცებოდნენ 2 საათში.
გაკვეთისას აღენიშნებოდათ მენინგიტი. ბაქტერიოლოგიური გამო-
კვლევით თავისა და ძვლის ტვინიდან იყოფოდა ეშერისიების
ვირულენტური კულტურები.

3.4. პათოლოგოანატომიური ცვლილებების შესწავლა ხბოების ეშერისით

დიაგნოზის დაზუსტების მიზნით მოვახდინეთ ლეშების გაკვეთა და ორგანოებში ცვლილებების შესწავლა (ცხრილი 3).

ცხრილი 3

პათოლოგიური დაზიანებები ცალკეულ ორგანოებზე

| № | ორგანო | რაოდენობა | აღგილი ჰქონდა დაზიანებას | % |
|----|------------------|-----------|-----------------------------|------|
| 1 | გული | 25 | 21 | 84 |
| 2 | ლვიძლი | 24 | 24 | 100 |
| 3 | ფილტვები | 24 | 21 | 87 |
| 4 | თირკმელები | 25 | 20 | 80 |
| 5 | ლიმფური კვანძები | 23 | 22 | 95,7 |
| 6 | წვრილი ნაწლავი | 25 | 25 | 100 |
| 7 | მსხვილი ნაწლავი | 21 | 20 | 95,2 |
| 8 | მაჭიკი | 25 | 25 | 100 |
| 9 | ელენთა | 25 | 16 | 64 |
| 10 | თავის ტვინი | 18 | 10 | 55,5 |

ლეშების გარეგანი დათვალიერებით აღინიშნებოდა სიგამხდრე, ანალური ხვრელის გარშემო კანი დასვრილი იყო ფეკალური მასით, თვალის გარსები ჩაცვენილი, კონიუნქტივა ანემიური, ბალანი აბურძგნული.

გაკვეთისას აღინიშნებოდა კანქვეშა ქსოვილის სიმშრალე, მკერდისა და პერიტონეუმის ღრუში დაგროვილი იყო 0,5 ლიტრამდე სეროზული ან სეროზულ-ფიბრინოზული ექსუდატი; პლევრის ქვეშ ან პერიტონეუმზე აღინიშნებოდა მრავლობითი წერტილოვანი სისხლჩაქცევები.

ცალკეული ორგანოების დაზიანებები ან ცვლილებები იყო სხვადასხვა. 21 ხბოს გულში აღინიშნა კორონალური სისხლძარღვების გადავსება, ენდოკარდიუმის ქვეშ და ენდოკარდიუმზე წერტილოვანი ან ზოლოვანი სისხლჩაქცევები, 20 შემთხვევაში გულის კუნთი იყო გათხელებული, 5-ში მიოკარდიუმის გამაგრება, რომლის განაჭერზე აღმოჩნდა მოწითალო-მოყავისფრო, წინაგულებში ვნახულობდით შედედებულ სისხლს.

ფილტვებში აღინიშნებოდა ატელექტაზი მოლურჯო-მოწითალო ადგილებით. 10 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კატარულ ანთებას, 2 შემთხვევაში – ფილტვის შეშუპებას.

ღვიძლი ყველა შემთხვევაში იყო მოცულობაში გაზრდილი, მკვრივი კონსისტენციის, 20 შემთხვევაში აღინიშნა სისხლსავსე და თიხისებური; ამასთანავე განაჭერზე – მოწითალო, მოლურჯო და მოყვითალო ადგილები.

ნაღვლის ბუშტი ყველა შემთხვევაში გადავსებული იყო სქელი ნაღვლით. თირკმელები იყო ანემიური, რიგ შემთხვევაში მოწითალო-მოყავისფრო ან ნორმალური, განაჭერზე ქერქოვან და ტვინოვან ფენებს შორის მკვეთრად გამოხატული ზღვარი, კაფსულა ცალკევდებოდა ადგილად, რიგ შემთხვევებში იყო წერტილოვანი სისხლჩაქცევები.

25 ელენთის გამოკვლევისას 16-ში (64%) აღინიშნა სისხლჩაქცევა, ერთეულ შემთხვევაში აღმოვაჩინეთ გამკვრივებული ადგილები და დანაოჭება, 15 შემთხვევაში (60%) კაფსულის ქვეშ სისხლჩაქცევები.

მაჭიკის კედელი ყველა შემთხვევაში იყო გასქელებული, 5 მასალაში აღმოვაჩინეთ 2x3 სმ ზომის წყლულები; ლორწოვანების ჰიპერემია იყო 25-ში (100%), შეწითლება, მრავლობითი წერტილოვანი სისხლჩაქცევები ყველა 25 (100%) შემთხვევაში.

25 (100%) შემთხვევაში წვრილ ნაწლავებში დავადგინეთ პემორაგიული ანთება სისხლისა და ჰაერის მინარევებით, 9 შემთხვევაში (36%) ლორწოვანები აღმოჩნდა შემსიგნებული და ოდნავ ჰიპერემიული, წებოვანი ლორწოთი დაფარული.

21 ხბოს მსხვილი ნაწლავის დათვალიერებით 20 (92%) აღინიშნა კატარულ-პემორაგიული ანთება, ლორწოვანებზე წერტილოვანი და ზოლოვანი სისხლჩაქცევები, ზოგჯერ სისხლიანი მინარევით.

23 ჯორჯლის ლიმფური კვანძების გამოკვლევით 22 (95,7%) შემთხვევაში დადგინდა გადიდება, განაჭერზე იყო ნამიანი და შეწითლებული.

თავის ქალას (18 შემთხვევა) გახსნისას ტვინში სისხლძარღვები იყო გადავსებული, ტვინის ქსოვილი შეშუპებული, ნახევარსფეროების ფუძეებზე 10 (55,5%) შემთხვევაში აღინიშნა წერტილოვანი სისხლჩაქცევები. დანარჩენი ხბოების თავის ტვინში ვნახეთ პემორაგიული ექსუდატის გროვები.



სურ. 3. თავის ტვინში გამოხატული სისხლჩაქცევები

3.5. მსხვილი რქოსანი პირუტყვის ფერმის დაკომპლექტების პირველ ეტაპზე მიკრობული კონტამინაცია

ახალ შობილი ცხოველების კუჭ-ნაწლავის დაავადებები მთელი მსოფლიოსათვის შესწავლის საგანს წარმოადგენს, ფართოდაა გავრცელებული ყველგან და დიდ ზიანს აყენებს მეცხოველეობას. პრობლემურია ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისიც, ამ დაავადებებთან ბრძოლა განსაკუთრებით ძნელია მეცხოველეობის დიდი მეურნეობებისათვის. თუმცა ისინი აწუხებენ წვრილგლეხურ და ფერმერულ მეურნეობებსაც.

ცნობილია, რომ კუჭ-ნაწლავის მწვავე ინფექციები ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში მეცხოველეობის კომპლექსებში და მსხვილ მეურნეობებში, რომლის დროსაც აღინიშნებოდა მოზარდის მაღალი სიკვდილიანობა.

ხშირ შემთხვევაში ხბოების, გოჭების დიარეის კლინიკით მიმდინარე დაავადებების დროს პრაქტიკოს ვატერინარებს დიაგნოზის დასმა უჭირთ. ყველა ამ ფორმით მიმდინარე დაავადება აღიქმებოდა, როგორც „დისპეცია“ ან გასტროენტერიტი. დიაგნოზი ძირითადად ისმებოდა კლინიკური ნიშნების და პათანატომიური ცვლილებების მონაცემებით, არ ითვალისწინებენ, რომ ახალ შობილის ცენტრალური ნერვული სისტემა ჯერ მოუმწიფებელია და ვერ რეაგირებს სათანადო გარემო გამდიზიანებელზე, რეაქცია ყოველთვის იყო საერთო. ამიტომ მოზარდეულის დაავადება-სიკვდილიანობის მიზეზების დადგენისათვის საჭიროა ჩატარდეს კომპლექსური გამოკვლევები, პირველ რიგში, ბაქტერიოლოგიური.

ხბოების გამოზრდა რიგ საკითხებთან ერთად, დამოკიდებულია სადგომებში პათოგენური მიკროორგანიზმების რაოდენობასთან. თუ ფურების ხსენში დაბალია სათანადო ანტისეპულების რაოდენობა, მაშინ ადეკვატურია კოლოსტრალური იმუნიტეტიც,

რითაც ყველა პირობა იქმნება მოზარდის ენტერობაქტერიოზებით დაავადებებზე.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა დაავადების მიმდინარეობა ორ ეტაპად დაკომპლექტებიდან 1,5–2 და 6–7 თვის შემდეგ სხვადასხვა ობიექტებიდან, როგორც ინფექციის გადაცემის ფაქტორებიდან გამოგვეყო მიკროორგანიზმები და დაგვედგინა მათი კულტურალურ-მორფოლოგიური, ტინქტორიულური, პათოგენური თვისებები, ბიოქიმიური აქტივობა შაქრების ფართო მწერივის მიმართ. მეურნეობა არაკეთილსამედო იყო ეშერიხიოზის მიმართ, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ შეგვესწავლა მიკროორგანიზმებით (ძირითადად ენტერობაქტერიებით) ფურების და ჯანმრთელი ხბოების ფეკალის და ასევე დაავადებათა გადაცემის ფაქტორების მიკრობული კონტამინაცია. ამისათვის გამოსაკვლევად ავიღეთ. სამშობიაროს კედლის ანაფეკი – 25 სინჯი, სამშობიაროს იატაკის – 20 სინჯი, გალიების ანაფეკი – 20 სინჯი, საწოვრების ჩამონარეცხი – 10 სინჯი, რძის ჭურჭლის ჩამონარეცხი – 10 სინჯი, ასევე 14 ფურის და 10 ჯანმრთელი ახალშობილის ფეკალი.

პათოლოგიურ მასალას ვთესავდით ხორცპეპტონიან ბულიონზე (ხ.პ.ბ.), ხორცპეპტონიან აგარზე (ხ.პ.ა.), ენდოს აგარზე და კიტ-ტაროცის ბულიონში. გამოკვლევები ჩატარდა თელეთის სანაშენო მეურნეობაში, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში და გ. ელია-გას სახ. ბაქტერიოფაგიის, ვირუსოლოგიის და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის გამოყენებითი მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში ენტერობაქტერიების დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდებით.

ფურებისა და ხბოების ფეკალის ემულგირებას ვახდენდით ფიზიოლოგიური ხსნარით 1:100-ზე, განზავებით და ვთესავდით 2 წვეთს ხ.პ.ა., ხ.პ.ბ. და ენდოს ნიადაგზე კულტივირებისათვის,

პარალელურად ვაკეთებდით თითოეული სინჯისთვის 3 ნაცხს და ვღებავდით გრამის წესით.

ანალოგიურად ვიკვლევდით ფერმის მოწყობილობის ინგენტარის ჩამონარეცხებს 1:50-ზე განზავების შემდეგ, კულტივირებას ვახდენდით თერმოსტატში 24 საათის განმავლობაში.

სამშობიაროს კედლის ანაფხეკებიდან (აღებული იქნა იატაკი-დან 1–1,5 მეტრის სიმაღლიდან) გამოყოფილი იქნა ერთეული ეშერი-ხიების, სალმონელების, პროტეუსის, მწვანე ჩირქმბადი ბაქტერიები. პეტრის ფინჯნებზე შედარებით მეტი იყო სტრეპტოკოკების და სტაფილოკოკების კოლონიები (5–10 კოლონია) შედარებით მეტი იყო ანალოგიური ბაქტერიებით (განსაკუთრებით ეშერიხიებით) ხბოების გალიების, საწოვრების, რძის ჭურჭლის კონტამინაცია.

ბულიონიანი კულტურების მიკროსკოპირებით ნაცხებში დავაფიქსირეთ, როგორც გრამუარყოფითი, ასევე გრამდადებითი ბაქტერიები, ფურების ფერალიებიდან გაკეთებულ ნაცხებებში ასევე დაფიქსირდა მიკრობთა ფართო სპექტრი. ახალშობილი ხბოების ფერალებიდან ძირითადად გამოიყო ეშერიხიები.

შევისწავლეთ ფურებიდან სხვადასხვა ობიექტებიდან გამოყოფილი შერეული მიკროფლორის პათოგენობა თეთრ თაგვებზე, რისთვისაც გამოვიყენეთ 24-საათიანი აგარის კულტურის 500-მილიონიანი კულტურა 0,5 მილილიტრის რაოდენობით, პერიტონეუმის ღრუში დასენიანებით. სულ გამოვიკვლიეთ ფურებიდან და ჯანმრთელი ხბოებიდან გამოყოფილი 10 კულტურა. თითოეული კულტურისთვის გამოყენებული იქნა 3 თაგვი წონით 18–20 გ. საკონტროლოდ დატოვებული იქნა 3 თაგვი, რომლებსაც შევუყვანეთ 0,5 მლ ფიზიოლოგიური ხსნარი. ცხოველებზე დაკვირვება გრძელდებოდა 7 დღე. როგორც საცდელი, ასევე საკონტროლო თაგვები ყველა გადარჩა, ე.ი. ახლად დაკომპლექტ-

ბულ ფერმაში, რომლის დროსაც არ იყო ხდოების დაავადება, არსებულ მიკროფლორას არ გააჩნდა პათოგენური თვისებები.

ენდოს აგარზე გაზრდილი კოლონიები (გამოყოფილი ფურების ფერალიდან), რომლებსაც ახასიათებდათ სხვადასხვა შეფერილობა, შემოწმდა ბიოქიმიური აქტივობა შაქრების ე.წ. „ფერად მწკრივზე“, რომლის მაჩვენებლები მიცემულია ცხრილ 4-ში.

ცხრილი 4

ჯანმრთელი ფურების ფერალებიდან გამოყოფილი
ენტერობაქტერიების ზოგიერთი ბიოქიმიური აქტივობა

| ბულგურის № | შაქრების დასახელება | | | | | | | | | | | |
|------------|---------------------|---------|----------|-----------|---------|------------|---------|--------|---------|---------|-----------|----------|
| | ლაქტო | გლუკოზი | არაბინზა | სალფიცინი | აფონინი | საქართველო | ღულციტი | განიტი | ინოზიტი | სორბიტი | გალაკტოზი | რაფინოზი |
| 1 | + | + | + | + | - | - | - | + | - | - | - | + |
| 2 | + | + | + | + | + | + | + | + | - | + | + | + |
| 3 | + | + | + | + | + | + | + | + | - | - | - | - |
| 4 | + | + | + | + | - | - | - | + | - | - | - | - |
| 5 | + | - | - | - | - | - | + | - | - | + | - | - |
| 6 | + | + | + | + | - | + | + | + | - | + | - | - |
| 7 | + | + | + | - | + | + | + | + | - | + | + | - |
| 8 | + | + | + | + | - | - | + | + | - | - | - | - |
| 9 | + | - | + | - | - | - | + | + | - | - | + | + |
| 10 | + | + | + | + | + | + | + | + | + | + | + | + |
| 11 | + | + | + | - | - | + | + | + | - | - | - | + |
| 12 | + | + | - | + | + | + | + | + | - | - | + | + |
| 13 | + | + | + | + | + | + | + | + | - | - | - | - |
| 14 | + | + | + | + | + | + | - | + | - | - | - | + |

ლაქტოზას შლიდა ყველა კულტურა, გლუკოზას და დულციტს 78,6%, არაბინოზას – 85,7%, სალიცინს – 71,4%, ადონიტს – 50%, საქაროზას – 64,3%, მანიტს – 92,8%, სორბიტს – 28,6%, გალაქტოზას – 28,6%, რაფინოზას – 42,1%, ე.ი. ყველა კულტურა მიეკუთვნა ეშერიხიას გვარს.

ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული ჯანმრთელი ხბოებიდან და მოვლის საგნებიდან გამოყოფილი ეშერიხიების ბიოქიმიური აქტიურობის და პათოგენობის განსაზღვრის დროსაც.

კვლევის შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ: 1. ახლად დაკომპლექტებული მსხვილი რქიანი პირუტყვის სადგომიდან გამოიყო მიკრობების ფართო სპექტრი, რომელთა შორის წამყვანი იყო ეშერიხიები; 2. გამოყოფილი მიკროფლორა არ იყო პათოგენური თეთრი თაგვების მიმართ.

3.6. ფერმის დაკომპლექტებიდან 6–7 თვის შემდეგ ცხოველთა სადგომების მიკრობული კონტამინაცია

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოზარდის მიღება-შენარჩუნება ერთ-ერთი რთული პრობლემაა დიდი მეურნეობებისათვის ცნობილია, რომ ახალშობილი ხბო, გოჭი, ბატკანი და ა.შ. იძალებიან არაიმუნურები და იმუნიტეტს იძენენ მხოლოდ ხსენის საშუალებით (კოლოსტრალური იმუნიტეტი). თუ ხსენი მაღალიმუნურია, მაშინ შენარჩუნებაც ოპტიმალურია. რიგ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს სტაციონარულ მეცხოველეობას და ირღვევა ხბოს მიღებისა და გამოზრდის ტექნოლოგიური ნორმები, ხდება შენობის პათოგენური მიკროორგანიზმებით გაჯერება. ახალი იმუნური ფონის პირობებში მოზარდეული ვეღარ უძლებს მოზღვავებულ მიკრობებს და იწყება დიარეის კლინიკით სხვადასხვა მწვავე ინფექციური დაავადებები. აღსანიშნავია ენტეროპერაციული E.coli-ს შტამებით გამოწვეული დიარეა. აღნიშნული შტამები ასევე საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის, რომლებიც იწვევენ ტოქსიკონფექციებს. ადამიანებში ინფექციური პროცესის დაწყებისათვის, როდესაც აღმძვრელის ვირულენტობა გაძლიერებულია, საკმარისია სულ რაღაც 100-მდე ბაქტერია.

ინფექციის ძირითად წყაროს წარმოადგენს ავადმყოფი და ბაქტერიამტარებელი მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ლორი, ფრინველი, რომლებიც გარემო არეში (საძროხე, სახბორე, მოხმარების საგნები და სხვა) გამოყოფენ პათოგენურ მიკროორგანიზმებს.

ადამიანებში ტოქსიკონფექციების გაჩენა ხდება მათ მიერ დაკვლის პროცესების, გადამუშავების, შეფუთვის, მაცივარში შენახვის და საკვების მომზადების დროს; ასევე ხილისა და ბოსტნეულის შინაურ და გარეულ ცხოველებთან კონტაქტით მათი გადამუშავებისას.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა საჯიშე-სანაშენო მეურნეობაში კოლიინფექციის გამწვავების დროს (მეურნეობის დაკომპლექტებიდან 5–6 თვის შემდეგ) ფერმის ინფრასტრუქტურის მიკროორგანიზმებით კონტამინაციის მდგომარეობა და მისი გავლენა ხბოების დაავადება-სიკვდილიანობაზე (ცხრილი 5, გრაფიკი 1), ასევე მკვდარი ხბოების სხვადასხვა ორგანოებიდან გამოყოფილი ენტერობაქტერიების ინფრასტრუქტურა, რომლის მონაცემები მოცემულია ცხრილი 6-ში.


სულ გამოკვლეული 155 სინჯიდან გამოყოფილ იქნა 618 კულტურა, რომელთაგან ეშერიხიები გამოიყო 312 შემთხვევაში (50,5%), სალმონელები – 49 (7,93%), პროტეუსი – 62 (10,03%), პიოციანეუმი – 40 (6,5%), სტაფილოკოკები – 58 (9,4%), სტრეპტოკოკები – 76 (12,2%), ანაერობებული ბაქტერიები – 21 (3,4%) შემთხვევაში. შემოწმდა ეშერიხიის 10 და სალმონელების 5 კულტურა პათოგენობაზე თეთრი თაგვების მიმართ, რომელთაგან ყველა აღმოჩნდა პათოგენური. ჰემოლიზური აქტივობა განისაზღვრა ეშერიხიების 10 კულტურის მიმართ, რომელთაგან ერითროციტების ლიზისის უნარი აღმოაჩნდა 6 (60%) კულტურას. ჰემოლიზის უნარი შემოწმდა ასევე ეშერიხიების არაპათოგენური კულტურების მიმართ, რომელთაგან ლიზისის უნარი აღმოაჩნდა 6 კულტურიდან 3-ს (50%). მაშასადამე, მოზარდის სადგომებში გამოყოფილი მიკროფლორა საგრძნობლად შეიცვალა როგორც რაოდენობრივი, ასევე სარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ, ე.ი. მოხდა პათოგენური მიკრობების რაოდენობრივი გაზრდა, შემდგომში მათი ავადმყოფ ცხოველებზე პასაჟირება და პათოგენური და ვირულენტური თვისებების შეძენა. ყოველივე აღნიშნულის გამო დაავადებამ მიიღო მასიური სასიათი და მოკვდა 60 ხბო, რომელთა ბაქტერიოლოგიური გამოკვლევით დადგინდა ეშერიხიოზის სეპტიცემიური ფორმა.

სანაშენო ფერმაში გამოყოფილი ენტერობაქტერიების მიკრობიოლოგიური იდენტიფიკაცია

| | | გ ა თ | შ თ რ ი ს | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ |
|-------|---|-----------------------------------|-----------------------------------|---|
| | | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ |
| 1. | სამშობიაროს ქვეყნის ჩამონარეგის მასალა | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ |
| 2. | გალიების ჩამონარეგის ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ |
| 3. | სამშობიაროს იატაკის ანაფეკი | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ |
| 4. | საწოვდების ჩამონარეგის | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ |
| 5. | რძის ჭურჭლიდან ჩამონარეგი | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ |
| 6. | ჭურჭის ჭურჭლები | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ | ი ღ წ ი ღ ა ღ წ ი ღ ი ღ |
| ს უ ლ | | (155) | (618) | (50,5%) (7,93%) (10,03%) (6,5%) (9,4%) (12,2%) (3,4%) |
| | | | | 21 |

გრაფიკი 1

ვერმაში გამოყოფილი ენტერობაქტერიების ინფრასტრუქტურის გრაფიკული გამოსახვა




ცხრილი 6

მკვდარი სბონების სხვადასხვა თრგანოებიდან გამოყოფილი ქნერობაქტერიების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები

| № | გამოყოფილი გული | ლენგთა | | თირკმელი | | ჯორჯლის ლიმფური გვანბი | |
|----|-----------------------------|----------------------|----------------------|----------------------|----------------------|------------------------|----------------------|
| | | ღია ღიანი აშშ აბრაზი | ღია ღიანი აშშ აბრაზი |
| 1. | ეშერინიები | 60% | 48 | 80,0 | 50% | 37 | 74,0 |
| 2. | ეშერინია + პროტეუსი | 60% | 7 | 11,7 | 50% | 8 | 16,0 |
| 3. | ეშერინია + გრვანე ჩირქებადი | 60% | 5 | 8,7 | 50% | 5 | 10,0 |
| | | | | | | | |
| | | | | 35% | 4 | 11,2 | 35% |
| | | | | | | - | - |
| | | | | | | - | 20% |
| | | | | | | - | 20% |
| | | | | | | 2 | 10,0 |

ცხრილი 6-ის გაგრძელება

| № | გამოყოფა | თავის ტვინი | | ქვლის ტვინი | | ნალვალი | | ფილტები | |
|----|-----------------------------------|-------------|---|-------------|-----|---------|----|---------|-----|
| | | % | % | % | % | % | % | % | % |
| 1. | ეშერიხიები | 20% | 5 | 25 | 20% | 11 | 55 | 50% | 42 |
| 2. | ეშერიხია + კროტეუსი | 20% | - | - | 20% | - | - | 50% | - |
| 3. | ეშერიხია + მწვანე ჩირქებალი | 20% | - | - | 20% | - | - | 50% | - |
| | | | | | | | | 84 | 16% |
| | | | | | | | | - | 12 |
| | | | | | | | | - | 75 |



(გამოავალება)
ა-დაბალი განვითარებული მუნიციპალიტეტების შემარტინი

ცხრილი 6-დან ჩანს, ეშერიხიები გულიდან გამოიყო 80%-ის შემთხვევაში, ეშერიხია+პროტეუსი – 11,7%-ში, ეშერიხია+მწვანე ჩირქ-მბადი ბაქტერია 8,7%-ში. ღვიძლიდან შესაბამისად – 74, 16, 10%-ში. დანარჩენი ორგანოებიდან გამოყოფილი ენტერობაქტერიების სპეციალური დაფიქსირდა შემდეგნაირად: ელენთა (71,4; 17,4; 11,2%); თირკმელი (ეშერიხიები – 71,4%); ჯორჯლის ლიმფური კვანძი (75, 15, 10%); თავის ტვინი (ეშერიხიები – 25%); ძვლის ტვინი (ეშერიხიები – 55%); ნალველი (ეშერიხიები – 84%); ფილტვები (ეშერიხიები – 75, ეშერიხია+მწვანე ჩირქმბადი ბაქტერია – 25%).

ბაქტრიოლოგიური გამოკვლევა ჩავატარეთ ცხოველთა სადგომების სხვადასხვა ადგილებიდან აღებული სინჯებით, სულ 155 სინჯიდან (ცხრილი 5). გამოყოფილი იქნა 618 კულტურა, რომელთაგან მეტ შემთხვევაში იყო ეშერიხიები – 50,5%, სალმონელები – 7,9%, პროტეუსი – 10,3%, პიოციანეუმი – 6,5%, სტაფილოკოკები – 9,4%, სტრეპტოკოკები – 12,2%, კლოსტრიდიები – 3,4%.

ფერმის დაკომპლექტებიდან 3–5 თვის პერიოდში აღინიშნებოდა ხელების დიარეის ერთეული შემთხვევები, რომელთა მკურნალობა იძლეოდა დადებით შედეგებს. შემდგომში დაავადება-სიკვდილიანობამ მიიღო მასიური ხასიათი და მოკვდა 60 ხელ.

დახმოიანებიდან ეშერიხიოზის ეპიზოოტიის მთელ პერიოდში შევისწავლეთ თეთრ თაგვებზე პათოგენობის და ვირულენტობის დინამიკა (გრაფიკი 2).

როგორც გრაფიკიდან ჩანს, ფერმის დაკომპლექტებიდან პირველ თვეებში ახალ შობილი ხელებიდან გამოყოფილი ეშერიხიებით თეთრი თაგვების დასენიანება ვერ მოხერხდა 500-მილიონიანი მიკრობული სხეულის შეყვანით. შემდგომ თვეებში (მესამე თვე) იგივე დოზებმა გამოიწვია თაგვების სიკვდილიანობა, რაც მკვეთრად აისახა ხელების მაღალ სიკვდილიანობაზეც. ვირულენტობამ პიკს მიაღწია, როდესაც

საცდელი ცხოველები იხოცებოდნენ 7–8-ჯერ ნაკლები დოზით დასენიანებისას.

მიღებული შედეგები იმაზე მიგვანიშნებს, რომ მსხვილი მეურნეობების დაკომპლექტებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ენტერობაქტერიებისგან სადგომების მუდმივად გათავისუფლება. ახალშობილი ხელები დაბადებისას არიან არაიმუნურები, ისინი ანტისეულებს იძენენ ხსენიდან (კოლოსტრალური იმუნიტეტი), როდესაც გვიანდება ხსენის მიცემა, და თანაც გარემო არე კონტამინირებულია პათოგენური ენტერობაქტერიებით, იწვევს ახალშობილის დაავადებას, გადაავადებას და აღმძვრელის ვირულენტობის გაზრდას.

მიღებული შედეგებით დადგინდა, რომ ახლად დაკომპლექტებულ მსხვილ მეურნეობაში ავადმყოფი და მკვდარი ხელებიდან გამოიყო პათოგენური ეშერისიები. ხელების ეშერისიოზის დროს აღმძვრელის პათოგენობა საწყის ეტაპზე იყო 500 მილიონი მიკრობული სხეული და მისმა ხარისხმა (ვირულენტობამ) პიკს მიაღწია მე-8 თვეს (62,5 მილიონი მიკრობული სხეული) ცხოველებზე ბაქტერიების პასაჟირების გამო.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოზარდის ენტერობაქტერიებით გამოწვეული დაავადებები მწვავედ მიმდინარეობს. დიაგნოზს ადგენენ კომპლექსური მეთოდებით: ეპიზოოტოლოგიური (დაავადებული ცხოველების ასაკი, სტაციონარობა, დასენიანების მასიურობა და ა.შ.), კლინიკური ნიშნებით, პათოლოგოანატომიური ცვლილებებით და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევებით.

ბაქტერიოლოგიური დიაგნოსტიკისათვის აუცილებელია დაავადების აღმძვრელის სუფთა კულტურის გამოყოფა, მისი კულტურალურ-მორფოლოგიური, ბიოქიმიური, პათოგენური თვისებების შესწავლა.

ავადმყოფი ცხოველებიდან გამოყოფილი ეშერიხიები მორფოლოგიურად არ განსხვავდებიან ჯანმრთელი ცხოველებისაგან გამოყოფილი ბაქტერიებისაგან, თუმცა პირველი გენერაციის დროს ადგილი აქვს პოლიმორფიზმს, ზოგჯერ დიფერენცირდება, როგორც ასტერელები.

ჩვენ მიზნად დავისახეთ მკვდარი და ავადმყოფი ხბოებიდან გამოგვეყო დიარეის აღმძვრელი მიკროორგანიზმები და შეგვესწავლა მათი კულტურალურ-მორფოლოგიური, ტინქტორიალური და ფერმენტაციული თვისებები შაქრების ფერადი მწკრივის მიმართ.

გამოკვლევისათვის გამოყენებული იყო 60 ხბოს ლეშის შინაგანი ორგანოები და 20 ავადმყოფი ხბოს სწორი ნაწლავის შიგთავსი. საკონტროლოდ – 10 ჯანმრთელი ხბოს ფერადი.

ამოთესვას ვახდენდით გულიდან, ლვიძლიდან, ელენთიდან, თირკმლიდან, ჯორჯლის ლიმფური კვანძებიდან, ნალვლის ბუშტიდან, თორმეტგოჯა ნაწლავის შიგთავსიდან, ძვლისა და თავის ტვინიდან.

გამოკვლევები ჩატარდა თელეთის სანაშენო მეურნეობაში, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში და ბაქტერიოფაგიის, ვირუსოლოგიის და მიკრობიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. კვლევისათვის გამოყენებულ იქნა ეპიზოოტოლოგიური, კლინიკური, პათანატომიური და ბაქტერიოლოგიური მეთოდები.

ბაქტერიოლოგიური გამოკვლევებისათვის დათესვას ვახდენდით ხორცპეპტონიან ბულიონზე, ხორცპეპტონიან აგარზე, ენდოს აგარზე და კიტ-ტაროცის ნიადაგზე, ანაერობული ენტეროტოქსემიის გამოთიშვის მიზნით.

ვახდენდით ფერადის სინჯების ემულგირებას სტერილური ფიზიოლოგიური სსნარით 1:100-ზე და ვთესავდით 1 წვეთს ენდოს აგარზე.

პათოლოგიური მასალიდან გამოყოფილი ყველა კულტურა იყო გრამუარყოფითი, ნაცხებში ბაქტერიები იყო პირდაპირი ან მოღუნული ბოლოებით, საგრძნობლად მოკლე მსხვილი ჩხირები განლაგებული ცალკე ან წყვილად. ზოგჯერ გვხდებოდა მსხვილი ძაფისებრი და ბიპოლარული ფორმებიც; განსაკუთრებით იმ ხდების პათმასალიდან გამოყოფილი კულტურები, რომლებსაც ავადმყოფობისას კურნავდნენ ანტიმიკრობული პრეპარატებით.

აგარზე კულტივირებისას კოლონიები იზრდებოდნენ „S“ და „R“ ფორმებში, ენდოს აგარზე კოლონიებს ჰქონდათ წითელი ფერი სხვადასხვა ვარიაციებში – მუქი წითელი ფერიდან – ვარდისფრამდე.

ენდოს აგარზე შესწავლილი 88 კულტურიდან S ფორმაში იყო 79 (89,8%) კოლონია, რომელთა შორისაც ნაწილი იყო ამობურცული, ნამიანი, ნაკლებად გამჭვირვალე. 9 (10,2%) კულტურა იყო R ფორმაში. S ფორმის კოლონიები იყო ნაკლებად გამჭვირვალე, ბრტყელი და მცირედ გამოხატული, რადიალურად შეჭმუხნული. ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის შედეგები მოცემულია ცხრილ 6-ში.

60 გულის გამოკვლევით 48 (80,0%) შემთხვევაში გამოიყო ეშერისია, შერეული პროტეუსთან და მწვანე ჩირქებად მიკრობებთან – 7 (11,7%) და 5 (8,3%) შემთხვევაში. 50 ლვიძლის გამოკვლევით ეშერისიები სუფთა სახით გამოიყო 37 (74%), შერეული – 8 (16%) და 5 (10%)-ში. ანალოგიურად სხვა ორგანოებიდან გამოიყო შერეული მიკროფლორა თავის ტვინისა და ძვლის ტვინის გარდა.

ეშერისიების ბიოქიმიური აქტივობის მონაცემები მოცემულია ცხრილ 7-ში.

მკვდარი, ავადმყოფი და ჯანმრთელი სბონებიდან გამოყოფილი ეშვერისხიერის
ბიოქიმიური თვისებები

| | | ბიოქიმიური აქტიურობა | | | | | | | |
|-----------------------------------|--|----------------------|----------------------|----------------------|----------------------|----------------------|----------------------|----------------------|----------------------|
| | | რეაციური განვითარები |
| კხოველთა ჯგუფები | | რეაციური განვითარები |
| გვდლარი და ავადმყოფი ხბოები | სულ გამოყო- ფილი იქნა ღალგინდა ღალგინითი % | 79 | 83 | 71 | 75 | 80 | 83 | 85 | 81 |
| | 93 | 96,3 | 83,5 | 88,2 | 93,5 | 96,3 | 100 | 95,3 | 0 |
| | | | | | | | | 95,3 | 95,3 |
| ჯანმრთელი ხბოები | სულ გამოყო- ფილი იქნა ღალგინდა ღალგინითი % | 10 | 10 | 9 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 |
| | | | | | | | | 47 | 47 |
| | | | | | | | | | |

დაავადებული ცხოველებიდან გამოყოფილი 85 ეშერისის კულტურიდან არაბინოზას ფერმენტირებას ახდენდა 79 (93%), სალიცინს – 83 (96,3%), ადონიგს – 71 (83,5%), საქართვის – 75 (88,2%), დუღულციტს – 80 (93,5%), მანიგს – 83 (96,3%), ლაქტოზაქს – 85 (100%), ინოზიგს არცერთი, სორბიგს და გლუკოზას – 81 (95,3%), რაფინოზას – 41 (47%), მოძრაობა ახასიათებდა 40 (47%) კულტურას.

ჯანმრთელი ცხოველებიდან გამოყოფილ კულტურებს აღენიშნათ შედარებით დაბალი ბიოქიმიური აქტივობა აღნიშნული ნახშირწყლების მიმართ.

ავადმყოფი და ჯანმრთელი ცხოველებიდან გამოყოფილი ეშერისიების ბიოქიმიური აქტივობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათ შორის ვარიაბილობას აქვს ადგილი, მაგრამ ეს თვისებები ნაკლებადაა დამოკიდებული მათ წარმოშობაზე, რის გამოც არ შეგვიძლია ავიღოთ პათოგენური და ვირულენტური თვისებების განმსაზღვრელად.

ენტერობაქტერიები ბიოქიმიურად აქტიურნი არიან სხვადასხვა შაქრების მიმართ. მათი აქტიურობა დაკავშირებულია არსებობის ადგილსა და პირობებზე (ადამიანის, ცხოველთა ნაწლავები, გარემო არე). ლაქტოზა იშლება ეშერისიების უმეტესი შტამებით, მაგრამ არა ყოველთვის ანდა შეფერხებით.

კვლევის შედეგებმა დაგვანახა, რომ: 1. თელეთის ექსპერიმენტულ მეურნეობაში მკვდარი და ავადმყოფი ხბოებიდან გამოყოფილ იქნა ეშერისიები; რიგ შემთხვევაში დაავადება რთულდებოდა პროტეუსის და ფსევდომონას ბაქტერიებით; 2. პარენქიმული ორგანოებიდან ეშერისიების გამოყოფა არის დაავადების სეპტიცემიური ფორმით მიმდინარეობის მაჩვენებელი; 3. ავადმყოფი და ჯანმრთელი ხბოებიდან გამოყოფილ ეშერისიებს შორის არის

ბიოქიმიური აქტიურობის გარიაბელობა, მაგრამ არ შეგვიძლია
ავიდოთ პათოგენური და კირულენტური თვისებების
განმსაზღვრელად.

ტოქსიკური თვისებები. ეშერიხიების პათოგენობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ თვისებად ითვლება მისი ტოქსიკურობა. ავადმყოფი, მკვდარი და ჯანმრთელი ხბოებიდან გამოყოფილი ეშერიხიების ტოქსიკურობა შევისწავლეთ თეთრ თაგვებზე. სულ შესწავლილი იქნა 6 კულტურის ტოქსიკურობა, მათ შორის 4 იყო მკვდარი და ავადმყოფი ხბოებიდან გამოყოფილი, ხოლო 2 – ჯანმრთელიდან. გამოკვლევის შედეგები მოცემულია ცხრილ 8-ში.

ცხრილი 8

ეშერიხიების ტოქსიკურობის შესწავლის შედეგები

| კულტურის ნომერი | საიდან იქნა გამოყოფილი | ტოქსიკურობა თეთრი თაგვების მიმართ | | | | | | | | | |
|--------------------|---------------------------|-----------------------------------|-----|-----|-------------------------|-----|-----|-------------------------|-----|-----|---|
| | | 24-საათიანი ფილტრატი | | | 3 დღედამური ფილტრატი | | | 7 დღედამური ფილტრატი | | | |
| | | 0,5 | 0,3 | 0,2 | 0,5 | 0,3 | 0,2 | 0,5 | 0,3 | 0,2 | |
| 1 | მკვდარი ხბოებიდან | – | – | – | + | + | + | + | + | + | – |
| 2 | – „ – | – | – | – | + | + | – | + | + | + | – |
| 3 | – „ – | – | – | – | + | + | – | + | + | + | – |
| 4 | – „ – | – | – | – | + | + | + | – | + | + | + |
| 5 | ჯანმრთელი ხბოებიდან | – | – | – | + | – | – | + | + | + | – |
| 6 | – „ – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – |

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ პათოგენური კულტურების 24-საათიან ფილტრატებს არ აღმოაჩნდათ ტოქსიკური თვისებები თეთრი თაგვების მიმართ, ტოქსიკურობა პქონდათ 3-დღიანი და უფრო მკვეთრად 7-დღიანი კულტურების ფილტრატებს დოზით 0,5 და 0,3 მილილიტრი. ჯანმრთელი ხბოებიდან გამოყოფილი ზოგიერთი კულტურის ფილტრატებსაც აღმოაჩნდათ ტოქსიკურობა საცდელი ცხოველების მიმართ. მონაცემები ადასტურებენ, რომ ეშერიხიების

ტოქსიკურობა გამოვლენილი თეთრ თაგვებზე ითვლება ვირულენტობის ერთ-ერთ ფაქტორად და დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დაავადებათა ეტიოპათოგენეზში, გარდა ამისა, ტოქსინებს გააჩნიათ იმუნოგენური თვისებები, რაც აუცილებელია ბიოპრეპარატების შექმნაში. ყოველივე ეს შესაძლებლობას იძლევა ე.წ. ადგილობრივი შტამებიდან მომზადდეს მონოვალენტური და პოლივალენტური ვაქცინები, ჰიპერიმუნური შრატები, ფაგები ხბოების ენტერობაქტერიოზების პროფილაქტიკა-მკურნალობისათვის.

ცნობილია, რომ ენტეროპათოგენურ ბაქტერიებს და მათ შორის ეშერისიებს ახასიათებთ ჰემოლიზური თვისებები, რაც პათოგენობის ერთ-ერთ ტესტად ითვლება. ჰემოლიზი არის დაშლის პროცესი, რომლის დროსაც ჰემოგლობინი იშლება გლობინად, რაც ცილოვან ნივთიერებას წარმოადგენს, და პიგმენტ ჰემად. ჰემოლიზი შეიძლება გამოწვეული იყოს ფიზიკური, ქიმიური აგენტებით; აგრეთვე მცენარეული, ცხოველური და ბაქტერიული წარმოშობის ჰემოლიზური შხამებით. ამ პროცესს ჰემატოლიზისს ანუ ერითროლიზისსაც უწოდებენ.

ჰემოლიზური თვისებების განსაზღვრისათვის მიკრობულ კულტურას ვთესავდით 5% სისხლის შემცველობის აგარზე. ის შტამები, რომლებიც პროდუცირებენ α -ჰემოლიზინს, მიკრობული კოლონიების ირგვლივ იძლეოდნენ მომწვანო ჰემოლიზს, ხოლო β -ჰემოლიზის დროს აღინიშნებოდა მოთეთრო ფერი.

β-ჰემოლიზინები შლიან ყოჩის ერითროციტებს, ხოლო α -ჰემოლიზინები – ბოცვრის და ყოჩის ერითროციტებს.

ჩვენს მიერ მკვდარი და ავადმყოფი ხბოებიდან გამოყოფილი ეშერისიების პათოგენობა ბოცვრისა და ყოჩის ერითროციტების მიმართ მოცემულია ცხრილში 9.

ცხრილი 9

მკვდარი სბოებიდან გამოყოფილი ეშერისიების პემოლიზური
აქტიურობა ბოცვრის და ყოჩის ერითროციტების მიმართ

| შტამის № | საიდან გამოიყო | ა-პემოლიზი ბოცვრის 5%-იან სისხლიან აგარზე | | β-პემოლიზი ყოჩის 5%-იან სისხლიან აგარზე | |
|-------------------------------------|------------------------------|---|-------------------|---|-------------------|
| | | დლილი სიაჰა აღმარტინი | სუსტი პემოლიზი | დლილი სიაჰა აღმარტინი | სუსტი პემოლიზი |
| 1 | გული | ++ | - | - | - |
| 2 | გული | - | - | ++ | - |
| 3 | ძვლის ტვინი | ++ | - | - | - |
| 4 | ძვლის ტვინი | ++ | - | - | - |
| 5 | თავის ტვინი | - | - | ++ | - |
| 6 | ლვიძლი | - | + | - | - |
| 7 | ლვიძლი | - | + | - | - |
| 8 | ლვიძლი | - | + | - | - |
| 9 | ელენთა | ++ | - | - | - |
| 10 | ელენთა | - | + | - | - |
| 11 | ჯორჯლის ლიმფური კვანძი | - | + | - | - |
| 12 | ჯორჯლის ლიმფური კვანძი | - | + | - | - |
| 13 | თირკმელი | - | + | - | - |
| საკონტ- როლო | M-17 | - | - | - | - |
| იანიანი დასამარტინი აღმარტინი | 1 | ფეკალი | - | - | - |
| | 2 | ფეკალი | - | - | - |
| | 3 | ფეკალი | + | - | + |
| | 4 | ფეკალი | - | - | - |
| | 5 | ფეკალი | - | - | - |
| | 6 | ფეკალი | ++ | - | - |

++ – ძლიერი პემოლიზი; + – სუსტი პემოლიზი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, კულტურები გამოყოფილი იყო გულიდან, ძვლის ტვინიდან, თავის ტვინიდან, ლვიძლიდან, ელენთიდან, ჯორჯლის ლიმფური კვანძებიდან, თირკმელიდან. საკონტროლოდ გამოვიყენეთ არაპათოგენური შტამი M-17. კვლევას ვაწარმოებდით მიკრობების დათესვით პეტრის ფინჯანზე ა და ბ-პემოლიზის დასადგენად. სულ ჰემოლიზური აღმოჩნდა 13 კულტურა, ე.ი. მკვდარი ხბოებიდან გამოყოფილ ეშერისიებს ა-ჰემოლიზი აღმოაჩნდათ 11 შემთხვევაში, რომელთა შორის 4 იყო ძლიერ ჰემოლიზური (ფართო გამჭვირვალობის ზონა), ხოლო 7 – სუსტი. ბ-ჰემოლიზური იყო 2. ავადმყოფი ხბოებიდან ჰემოლიზური აღმოჩნდა – 3 იზოლატი; მათ შორის 2 – ალფა და 1 – ბეტა.

არაპათოგენურ ეშერისიებს ჰემოლიზური აქტიურობა ჰქონდათ შედარებით სუსტად გამოხატული.

ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ეშერისიების ჰემოლიზი ერითროციტების მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც პათოგენობის განმსაზღვრელი დამატებითი ტესტი.

ჰემოლიზური თვისებები შესწავლილი იქნა სალმონელის 8 კულტურის მიმართ, რომლებიც გამოყოფილი იქნა 10–12-დღიანი ნამკურნალევი ხბოს ლეშის ჯორჯლის ლიმფური კვანძებიდან. პათოლოგიური მასალა ჩათესილი იქნა ხ.პ.ბ., ხ.პ.ა. და კიტ-ტაროცის ნიადაგზე. 24-საათიანი კულტივირების შემდეგ მიღებული ნაზარდის 1 წვეთი გადაითესა ხორც-პეპტონიან აგარზე და ენდოს ნიადაგზე შემდგომი კულტივირებისათვის. ორივე ნიადაგზე გაიზარდა მოთეთრო კოლონიები, რაც დამახასიათებელია სალმონელებისათვის. გადაირჩა S-ფორმის რვა კოლონია, მოვახდინეთ მათი ცალ-ცალკე კულტივირება და დავთესეთ 5%-ის შემცველობის ბოცვრის და ყოჩის სისხლიან ნიადაგზე.

სალმონელების ჰემოლიზური თვისებების შედეგები მოცემულია ცხრილ 10-ში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ერთი ხბოს ლეშის ჯორჯლის ლიმფური კვანძებიდან გამოყოფილ 8 კულტურას აღმოაჩნდა სხვადასხვა α და β ჰემოლიზი. სულ ჰემოლიზის უნარი აღმოაჩნდა 7 კულტურას, რომელთაგანაც α და β – ორ კულტურას, მარტო α -ჰემოლიზი – 4, ხოლო β – 1 კულტურას.

ცხრილი 10

მკვდარი ხბოებიდან გამოყოფილი სალმონელების პათოგენობა ბოცვრის და ყოჩის ერითროციტების მიმართ

| შემთხვევის № | საიდან გამოიყო | ა-ჰემოლიზი ბოცვრის 5%-იან სისხლიან აგარზე | | β-ჰემოლიზი ბოცვრის 5%-იან სისხლიან აგარზე | |
|--------------|--------------------------|---|----------------|---|----------------|
| | | ძლიერი ჰემოლიზი | სუსტი ჰემოლიზი | ძლიერი ჰემოლიზი | სუსტი ჰემოლიზი |
| 1. | ჯორჯლის ლიმფური კვანძები | ++ | - | - | - |
| 2. | - „ - | ++ | - | ++ | - |
| 3. | - „ - | - | - | - | - |
| 4. | - „ - | + | - | - | - |
| 5. | - „ - | ++ | - | ++ | - |
| 6. | - „ - | - | + | - | - |
| 7. | - „ - | + | - | - | - |
| 8. | - „ - | - | - | - | - |

სულ ჰემოლიზური – 7 კულტურა

$\alpha + \beta$ – 2 კულტურა

α – 4 კულტურა

β – 1 კულტურა

დადგინდა, რომ: ეშერიხიებისა და სალმონელების ჰემოლიზური უნარის შედარებისას დადგინდა, რომ სალმონელებს უფრო მეტად აქვთ ეს უნარი გამოხატული.

3.7. ენტერობაქტერიოზების (ეშერიხიოზი, სალმონელოზი) დიაგნოსტიკური კრიტერიუმები

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოზარდეულის და მათ შორის ხბოების ეშერიხიოზის და სალმონელოზის დიაგნოსტიკა რთულია, ვინაიდან რიგი დაავადებები ხასიათდებიან ერთნაირი კლინიკოპათოლოგოანატომიური მონაცემებით, რაც განპირობებულია მოზარდის ნერვული სისტემის ჩამოყალიბებით, ეს კი აისახება გარემო გამღიზიანებლის მიმართ ზოგადი პასუხით. ეს ყოველივე გამოჩნდა ჩვენი კვლევების ჩატარებისას თელეთის საჯიშე-სანაშენო მეურნეობაში.

დიაგნოზის დასასმელად გამოვიყენეთ ის ძირითადი მეთოდები, რაც მიღებულია სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოზარდის დიარეის კლინიკით მიმდინარე დაავადებათა დროს. შევეცადეთ გამოგვევლინებინა დიაგნოსტიკის წამყვანი მეთოდები, რაც საგრძნობლად შეამცირებს დაავადების ეტიოლოგიური ფაქტორების დადგენას, წარმატებული იქნება მოზარდის შესანარჩუნებლად და მოხდება გარკვეული ცვლილებები მოქმედ ინსტრუქციაში.

ჩვენი კვლევის პერიოდში ამ მიმართულებით, ე.ი. ენტერობაქტერიოზების დიაგნოსტიკისათვის, ვსწავლობდით და ვანალიზებდით შემდეგ მაჩვენებლებს:

1. დაავადების კლინიკური ნიშნების მასიურობას, განვითარების დინამიკას, ცხოველთა ასაკს
 - თელეთის საჯიშე სანაშენო მეურნეობაში ხბოების დაავადება სიკვდილიანობის მეურნეობის დაკომპლექტებიდან პირველ ეტაპზე მიმდინარეობდა სუსტად, შემდგომში მიიღო მწვავე ფორმა, გაიზარდა სიკვდილიანობა, ასაკი 1–5 დღე. ეს მაჩვენებლები დამახასიათებელია ეშერიხიოზისათვის.

2. შენობებში ცხოველთა მაღალი კონცენტრაცია, მოვლა-შენახვის პირობები
 - ფერმა დაკომპლექტდა დიდი რაოდენობის პირუტყვით, მოხდა შენობის გადატვირთვა, თავიდან ვერ იქნა დაცული ხბოს მიღებისა და გამოზრდისათვის სათანადო პირობები (ინდივიდუალური გალიები, საწოვრები და ა.შ.), რაც ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობებია ხბოების კუჭაშლილობის კლინიკით (დიარეა) დაავადებათა განვითარებისათვის.
3. შენობებში ენტერობაქტერიების მაღალი კონცენტრაცია.
 - თუ მოზარდის სადგომებში გაიზარდა ენტერობაქტერიების რაოდენობა, მოხდა ფერმის ე.წ. „გადაღლა“ მიკროორგანიზმებით, ქვეითდება კოლოსტრალური იმუნიტეტის ხარისხი, რასაც მოსდევს მოზარდის მასიური დაავადება დიარეით.
4. ენტერობაქტერიების ბიოქიმიური იდენტიფიკაცია
 - ჩვენი კვლევებით საკმარისად მივიჩნიეთ პათოლოგიური მასალის კულტივირება მხოლოდ ენდოს ნიადაგზე, რაც სრულიად საკმარისია ენტერობაქტერიოზების სასწრაფოდ იდენტიფიკაციისათვის.
5. ენტერობაქტერიების სეროლოგიური იდენტიფიკაცია
 - ეს მეთოდი მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მიზანდასახულია ადგილობრივი შტამებიდან ბიოპრეპარატების მიღება.
6. პათოგენობა საცდელი ცხოველების მიმართ
 - ეს მეთოდი ინფორმაციულია დიარეით მიმდინარე დაავადებათა სხვადასხვა ფორმის დროს დიფერენცირებისათვის, უფრო ხანგრძლივია (7 დღემდე).
7. ენტერობაქტერიების ჰემოლიზური უნარი

– მეთოდი არის დამხმარე, ვინაიდან რიგ შემთხვევებში პემოლიზური უნარი აქვს ასევე არაპათოგენურ ენტერობაქტერიებსაც.

8. ლეშის პათოლოგოანატომიური ცვლილებები.

– მეთოდი არის ზოგადი ენტერობაქტეროზების და კერძოდ ეშერიხიოზის დროს. მისი გამოყენება შეიძლება დიაგნოსტიკურ გამოკვლევათა საერთო კომპლექსში.

9. ბაქტერიოლოგიური დიაგნოსტიკა

– თუ პათოლოგიური მასალიდან (გული, თავის ტვინი, ზურგის ტვინი) ენდოს ნიადაგზე გამოიყო ეშერიხიები ან სალმონელები, დიაგნოსტიკა (2 დღე) დამთავრებულად ჩაითვლება.

3.8. ენტერობაქტერიების ანტიბაქტერიული პრეპარატების მიმართ მგრძნობელობა და ეშერიხიოზის მკურნალობა

თანამედროვე პირობებში კუჭაშლილობის მწვავე აშლილობის სამკურნალოდ როგორც ადამიანებში, ასევე მეცხოველეობაში ფართოდ გამოიყენება ანტიბაქტერიული საშუალებები. ანტიბაქტერიული პრეპარატებით მკურნალობას მაშინ აქვს ეფექტი, როდესაც პათოგენური მიკროფლორა მგრძნობიარეა მოცემული პრეპარატის მიმართ. თუ მეურნეობაში დადგენილია ენტერობაქტერიოზები (ეშერიხიოზი, სალმონელოზი), ანტიბაქტერიული პრეპარატების გამოყენება იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ასეთ შემთხვევაში ანტიმიკრობული საშუალებების მოქმედება იქნება, როგორც სპეციფიკური თერაპია. ამისათვის აუცილებელია განისაზღვროს ენტერობაქტერიების პრეპარატების მიმართ მგრძნობელობა (S) და რეზისტენტობა (R).

თელეთის სანაშენო მეურნეობაში, რომლის მიმართულებაა ჯიშიანი პირუტყვის აღწარმოება, შეიქმნა პრობლემა სბოების შენარჩუნებისა.

პირველ ეტაპზე, როდესაც დახმოიანება იყო ერთეული, აღინიშნა დიარეის შემთხვევები, რომლის მკურნალობას ვეტსპეციალისტები ადვილად ახდენდნენ სიმპტომატიური საშუალებების გამოყენებით (იზოტონური ხსნარების გადასმა), ე.ი. რეჰიდრატაციული თერაპიის ჩატარებით ახალშობილი ნორმის ფარგლებში სბოს ორგანიზმი სითხე მუდმივად გადის ნაწლავებში და რეადსორბირდება მისგან სისხლში. სითხის ეს ორი ნაკადი დღე-დამეში შეადგენს 100 ლიტრს.

კუჭ-ნაწლავის დაავადებათა დროს ირდვევა სითხის სეკრეციისა და მის რეადსორბციას შორის თანაფარდობა სისხლში. ამ პათოლოგიური პროცესების სიძნელე დამოკიდებულია დაავადების გამომწვევ მიზეზებზე.

ხბოს ორგანიზმის მიერ დაკარგული სითხე ჰგავს სისხლის პლაზმას. ის შეიცავს ნატრიუმს, კალიუმს, ბიკარბონატის იონებს, რაც აუცილებელია ხბოს ზრდა-განვითარებისათვის. ეშერიხიოზის დროს ხბო დღე-ღამეში ფეკალთან გამოყოფს 6 ლიტრ წყალს, ჯანმრთელები კი მსოლოდ 132–212 მილილიტრს, ამასთან ერთად, დიდი რაოდენობით მინერალებს (B.G. ვარია, 1991). ყოველივე აღნიშნულის გამო ორგანიზმში იწყება წყლის და ელექტროლიტების დეფიციტი, რის გამოც ცოცხალი მასა 9%-ით კლებულობს, ხოლო ჯანმრთელებში იზრდება 0,9%-ით, მცირდება სისხლის მოცულობა (ჰიპოვოლემია), ვითარდება ჰემორაგიული მოვლენები, ირლვევა მუვა-ტუტის თანაფარდობა (მეტაბოლიტური აციდოზი), ვითარდება კალციუმის, მაგნიუმის და ფოსფორის დისბალანსი; ორგანიზმში წარმოიქმნება ენერგიის დეფიციტი.

დეპიდრატაციულ თერაპიას ყოფენ: ჰიდრატაციულ და ხელშემწყობ ნაწილებად. პირველს ახორციალებენ 4–6 საათს; მეორეს – 2–4 დღეს (გამოჯანმრთელებამდე). დეპიდრატაციის დოზები დამოკიდებულია დაავადების ფორმაზე და ის მერყეობს 20–100 მლ-ს შორის, პირველი 4–6 საათის განმავლობაში ცოცხალი მასის ერთ კილო-გრამზე, მუხლის ნაოჭის ან ლაბაბის არეში კანქვეშ 3-ჯერ დღეში.

შემდგომში, როდესაც თავი იჩინა ხბოების დაავადება-სიკვდილიანობის გამწვავებამ და გამოყოფილი იქნა ეშერიხიების და სხვა ენტერობაქტერიების პათოგენური კულტურები. საჭიროდ ჩავთვალეთ მოქმედი ანტიბაქტერიული პრეპარატების შერჩევა მათ მგრძნობელობის შესწავლის გზით.

მგრძნობელობა შესწავლილი იქნა ეშერიხიის 15 და სალმონელის 8 კულტურების მიმართ დისკების მეთოდით; ერთეულ შემთხვევებში სერიული განზავებით. ამ ორი მეთოდის მგრძნობელობის მაჩვენებლები დაახლოებით იდენტური აღმოჩნდა,

რის გამოც აქცენტი გავაკეთეთ დისკების მეთოდზე, რაც შესასრულებლად უფრო ადვილია.

პრეპარატის აქტიურობა ისაზღვრებოდა ოთხი კრიტერიუმით (არაეფექტური, სუსტი აქტიური, აქტიური, ძლიერ აქტიური).

გამოცდილი იქნა სხვადასხვა ანტიბიოტიკი, მათ შორის ფტორქინოლინები, რომლებიც აქტიურნი არიან გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ, განსაკუთრებით კი გრამუარყოფითი აერობების, კერძოდ კი მრავალრეზისტენტული ბაქტერიების მიმართ.

მიკროორგანიზმების კულტურების მგრძნობელობა განისაზღვრა შემდეგი ანტიბიოტიკის მიმართ – პენიცილინი, ამოქსაცილინი, ოქსაცილინი, ამპიოქსი, ამპიცილინი, კარბენიცილინი, ცეფოტაქსიმი, ცეფტაზიდიმი, ნეომიცინი, ტეტრაციკლინი, კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილებში 11 და 12-ში.

როგორც 11, 12 ცხრილებიდან ჩანს, აქტიური და ძლიერ ფართო შეკავების ზონა აღმოჩნდათ ამპიოქსი, ამპიცილინი, ოქსაცილინის ეშერისის კულტურების მიმართ, რაც შეადგენს 18–20%-ს. ამიტომ ამ პრეპარატების გამოყენება ეშერისიოზის საწინააღმდეგოდ მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ.

აღნიშნული ანტიბიოტიკების (ცხრილი 12) დიდი ნაწილი არაეფექტურნი აღმოჩნდნენ სალმონელას კულტურების მიმართ, რაც ასევე მიუღებელნი აღმოჩნდნენ მათი სამკურნალოდ გამოყენებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ზემოაღნიშნული პრეპარატი თელეთის სანაშენო მეურნეობაში ახალშობილი ხდოების დიარეიის საწინააღმდეგოდ არ გამოყენებულა, დაფიქსირდა მაღალ-რეზისტენტული ეშერისიას და სალმონელას შტამების არსებობა.

ცხრილი 11

| ეშერისიების ანტიბიოტიკების მიმართ გრამობელობის შესწავლის შედეგები | | გრამობელის შეკავების ზონა, მმ | | | | | | | | | | |
|---|-----|-------------------------------|-------|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|------|
| | | 0-0,5 | 0,5-1 | 1-2 | 2-3 | 3-4 | 4-5 | 5-6 | 6-7 | 7-8 | 8-9 | 9-10 |
| 1 | 0 | 0 | 10 | 15 | 18 | 15 | 12 | 10 | 5 | 5 | 9 | 10 |
| 2 | 0 | 9 | 16 | 20 | 16 | 14 | 5 | 8 | 7 | 7 | 6 | 6 |
| 3 | 0 | 10 | 18 | 22 | 18 | 18 | 10 | 7 | 6 | 10 | 7 | 7 |
| 4 | 0 | 8 | 15 | 25 | 16 | 15 | 10 | 5 | 5 | 8 | 8 | 8 |
| 5 | 0 | 11 | 20 | 21 | 15 | 15 | 10 | 8 | 5 | 11 | 7 | 7 |
| 6 | 0 | 12 | 15 | 20 | 20 | 10 | 8 | 5 | 6 | 6 | 10 | 10 |
| 7 | 0 | 10 | 16 | 25 | 18 | 12 | 7 | 5 | 7 | 7 | 8 | 8 |
| 8 | 0 | 12 | 20 | 18 | 17 | 15 | 8 | 6 | 8 | 8 | 7 | 7 |
| 9 | 0 | 13 | 22 | 16 | 16 | 12 | 12 | 7 | 5 | 7 | 7 | 7 |
| 10 | 0 | 10 | 20 | 15 | 15 | 13 | 10 | 8 | 7 | 8 | 8 | 8 |
| 11 | 0 | 12 | 16 | 19 | 17 | 16 | 12 | 8 | 9 | 8 | 10 | 10 |
| 12 | 0,4 | 10 | 15 | 122 | 18 | 15 | 8 | 9 | 7 | 7 | 7 | 7 |
| 13 | 0,5 | 14 | 16 | 25 | 20 | 20 | 10 | 7 | 6 | 9 | 10 | 10 |
| 14 | 0 | 12 | 17 | 24 | 16 | 22 | 10 | 10 | 7 | 6 | 6 | 6 |
| 15 | 0 | 10 | 22 | 22 | 16 | 11 | 6 | 9 | 8 | 8 | 5 | 5 |

გრამიტება (E.coli-ს)

Հերովնու 12

և ալյունալին անգուհութիւններին մոմառտ թշրմեածալոնն պահպանու պահպանու

| Ցանկացած կազմակերպությունների պահպանու պահպանու | | | | | | | | | |
|---|---|----|----|----|----|----|----|---|---|
| Ցանկացած կազմակերպությունների պահպանու պահպանու | | | | | | | | | |
| 1 | 0 | 8 | 14 | 17 | 16 | 12 | 10 | 4 | 3 |
| 2 | 0 | 8 | 15 | 18 | 17 | 13 | 11 | 5 | 4 |
| 3 | 0 | 10 | 12 | 16 | 18 | 14 | 13 | 4 | 5 |
| 4 | 0 | 7 | 13 | 20 | 16 | 15 | 14 | 6 | 6 |
| 5 | 0 | 10 | 15 | 16 | 14 | 14 | 16 | 7 | 7 |
| 6 | 0 | 10 | 18 | 20 | 18 | 12 | 9 | 2 | 8 |
| 7 | 0 | 10 | 15 | 18 | 16 | 15 | 10 | 8 | 7 |
| 8 | 0 | 12 | 17 | 17 | 15 | 10 | 12 | 7 | 4 |
| | | | | | | | | | 9 |
| | | | | | | | | | 7 |

Ցանկացած կազմակերպությունների պահպանու պահպանու

დაავადებული ხბოების სამკურნალოდ გამოყენებული იქნა შვეიცარიული და ფრანგული ფირმების მიერ მოწოდებული სინთეტიკური ანტიბიოტიკები, რომელთა მაღალი ანტიმიკრობული აქტიურობა დადასტურდა *in vitro* 15 *E.coli*-ს კულტურის მიმართ. მათი ანტიმიკრობული სპეციფიკური ფართოა. მოქმედებენ სტაფილოკოკებზე, ეშერინიებზე, აასტერელებზე, მიკოპლაზმებზე. პრეპარატი გამოდის ხსნარის სახით და ცხოველს ეძლევა წონის მიხედვით.

